

ქართული გზები



საქართველოს
მხარეთა
კავშირის
გაზეთი
№6 (265)
15 სექტემბერი
15 ოქტომბერი
2018

ფასი 1 ლარი

გამომცემი
თავისუფლება

განცხადება

ძალიან საინტერესო ამბავი - დღეს ისრაელის კნესეტმა მიიღო კანონი ისრაელის სახელმწიფოს ებრაულ ხასიათზე. ისრაელი დღეიდან ითვლება ებრაული ნაციის სახელმწიფოდ, ვულოცავთ!

ისრაელი არის მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფო, განვითარებული დემოკრატიით და სამოქალაქო საზოგადოებით. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენს კონსტიტუციაში შორეულადაც არ არის მინიშნება რაიმე მსგავსზე.

ფაქტია, რომ ისტორიის უმძიმეს გზებზე, რომელიც ხშირად სისხლის კალოზე გადიოდა, სწორედ ქართველმა ერმა ჩამოქნა ის უნიკალური ერთობა, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის ერთი კონკრეტული ფორმა და თვითმყოფადი სამყარო, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ: თავისი დადებითი თუ ნაკლოვანი მხარეებით.

მანვე ჩამოაყალიბა ტოლერანტულობის და მშვიდობიანი, ჰუმანური თანაარსებობის ფორმები „სხვა“ კულტურების და ეთნიკური იდენტობის მქონე ყველა ჯგუფთან, ხალხთან და ინდივიდთან, რომლებიც საუკუნეებია სახლობდნენ და ახლაც არიან საქართველოში.

იქნება თუ არა ულტრანაციონალისტი და ურაპატრიოტიზმი საქართველოს ოფიციალურად გამოცხადება ქართველი ერის სახელმწიფოდ, სადაც ქართველ ერს ექნება წარმმართველი და სახელმწიფოებრივი როლი?

ვფიქრობ, არ უნდა იყოს ასე. ჩვენ საკმაოდ დაგვაკომპლექსა საბჭოთა პრობაგანდამ, ასევე ისეთმა მოწინავეობამ, რაც ამ მიმართულებით ფიქრს სადღაც „ფაშიზმის“ მოსაზღვრე რეგიონში ათავსებდა და დღესაც ათავსებს, ოღონდ საჭირო იქნება საკმაო შრომის განწევა რაღაცეების დასაზუსტებლად და დასადგენად.

საინტერესო იქნებოდა ამ თემაზე არგუმენტირებული დისკუსია და მოსაზრებები.

კონსტანტინე (უმცროსი)
გამსახურდია

ქვაში გამოკვეთილი სამი ქალაქი აქვს ისტორიულ საქართველოს - ვარძია, უფლისციხე და გარეჯი.

რაოდენი რწმენა, შემოქმედებითი ენერჯია, სიბრძნე, გადარჩენის დაუოკებელი ყინი უნდა ჰქონოდა ჩვენს წინაპარს, რომ პიტალო კლდეს შეჭიდებოდა და იგი არა მარტო თავშესაფრად, უფლის სახლადაც ექცია.

ამასწინათ სტუდენტები წავიყვანე საექსკურსიოდ დავით გარეჯის მონასტერში და როცა სხვა ქართული საყდრისკენ წავედით, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა უკან მოგვაბრუნეს, ესაო, საქართველოსი აღარ არის, აზერბაიჯანის ტერიტორიააო.

ვაი, შენ, უბედურო ჩემო ქვეყანავ!

საქართველოს სავალალო მდგომარეობამ სასონარკვეთილებამდე მიმიყვანა.

ტერიტორიას დღითიდღე გვართმევს დამპყრობელი რუსეთი, ეკონომიკა გაჩანაგებულია, უმუშევრობა

რევაზ მიშველაძე დიდადო მოსაყდრულში ჩანიშნული

მძვინვარებს, ფასები იზრდება...

და ამ დროს პარლამენტი იმაზე მსჯელობს, პრეზერვატივს რა ნახატი მოუხდება.

თითქოსდა, სექსის დანყებამდე ნაზიკია შალიკიას აუცილებლად ჰკითხავს, მანახე ერთი, შენს პრეზერვატივს რა ახატიო.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ ათი წლის განმავლობაში ისიც ვერ მოახერხა, რომ თუნდაც ცალი თვალთ დამპყრობელი რუსეთის ტერიტორიაზეც გადაიხედოს.

პირქვედამხოხილ, გაუბედურებულ საქართველოს აკვირდებიან, რომ ემანდ საქართველო რუსეთს თავს არ დაესხას.

რაც შეეხება ნატოს, „დეიდა ნატოს“ ტყუილებს ბოლო არ უჩანს.

კიდევ რამდენი ქართველი ბიჭი უნდა დაიღუპოს ავღანეთსა და აფრიკაში, რომ ნატოში მიგვიღონ?

საქართველოსადმი ნატოს ცრუდაპირების პოლიტიკას ზუსტად ესადაგება გენიალური ქართული ანდაზა: „სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესა“.



მე, როგორც პროფესორი, თავს დამნაშავედ ვგრძნობ ჩემი სამშობლოს წინაშე.

როგორც ჩანს, ჩვენ ვერ აღვზარდეთ ეს ახალგაზრდები პატრიოტებად, ქვეყნის ჭირისუფლებად.

2018 წლის 12 მაისს პოლიციამ ღამის კლუბებში ნარკოგამსაღებლების წინააღმდეგ ოპერაცია ჩაატარა.

როგორ თუ ჩვენი ნარკოკლუბური მყუდროება დაარღვიესო, მეორე დღეს პარლამენტის წინ ხუთი ათასზე მეტი ახალგაზრდა გამოვიდა.

ქართველი ერი დრტვინავს, კითხულობს: - ნაცფაშისტების დამხოხიდან 6 წელი გავიდა და რატომაც ისეც ბოლომდე გამოუძიებელი 2011 წლის 26 მაისის ტრაგედია, „იმედის“ დარბევის, უნივერსიტეტის დანოკების, მწერლების ქუჩაში გამოდევნის, ქართული ენის პალატის გაუქმების და სხვა საქმეები?

მე მაქვს პასუხი:

რაკილა სახელმწიფო უწყებებში (მათ შორის ძალოვან სტრუქტურებში) კვლავ დამნაშავე პარტიის წევრები და მხარდამჭერები სხედან, ბუნებრივია არ სურთ თავიანთი დანაშაულის გამომზეურება.

ესეც არ იყოს, დღევანდელ ხელისუფალთ პირობა აქვთ მიცემული ნაცების ამერიკელი პატრონებისთვის, რომ საუკუნის ნაცდამნაშავეებს პასუხს არ აგებინებენ.

და მესამე (რაც ძალიან მეეჭვება) შსს-ს და პროკურატურის სტრუქტურებში უმეტესად უნიჭო გამომძიებლები სხედან.

▶ 133

საზეიმო ბრაციბრუცის ყურება მომბეზრდა.

არც ფარნავაზს, არც დავით აღმაშენებელს, არც თამარ მეფეს დამოუკიდებლობა არ აღუნიშნავთ და კონცერტები არ გაუმართავთ.

როგორ? რანაირად? მხოლოდ 100 წლის ხარ ვარძიის, ვეფხისტყაოსნის, გელათის, სვეტიცხოვლის შემქმნელი ერი?

დიდგორის და მარტყოფის გადამტანი ერი?

არ მსიამოვნებს თავის გამოსაჩენად ყელმოღერებული „ხელმძღვანელების“ და ცხინვალიდან ერთ დღეში გამოქცეული, დამარცხებული ჯარის სარდლების ნახვა.

ზამთისპირის ცივი ქარი ქრის.

შიშველ ხეებზე დაძვრება იგი და უსიამო სისინით აწყდება ფანჯრებს.

ნეკერჩხლის ტოტზე ეული კაჭკაჭი ზის და თავს ძლივს იკავებს.

გრძელი ნისკარტი ბუმბულში ჩაურგავს და გამხმარ ტოტზე სანყალობლად ირხევა.

საათია შევცქერი კაჭკაჭის წვალეზას. რა ვაინაჩრობით უძალიანდება სტიქიას.

უეცრად მეორე კაჭკაჭი მოფრინდა. ჯერ პირველის შორიახლო დაჯდა. მერე ხტუნვა-ხტუნვით მიუახლოვდა დამხვედურ კაჭკაჭს და გამეტებით ჩაუნისკარტა.

რა უნდოდა, რას ერჩოდა?

გალახული კაჭკაჭი გაფრინდა. ახალმოსული მის ადგილზე დარჩა.

ნეკერჩხლის ტოტს ქარი კვლავ არწევს კაჭკაჭიანად.

საიდუმლოებით აღსავსეა ბუნება.

ამასწინათ ძველ უბის წიგნაკებს ვფურცლავდი.

ერთგან აი, რა ჩამინერია:

„მუხრან მაჭავარიანის დაბადების 80 წლის იუბილე გაიმართა საჩხერეში.

სალამო გახსნა ელდარ ნადირაძემ.

პირველი სიტყვის თქმამ მე მომიწია. თბილისიდან შესანიშნავი მსახიობები მუხრანის ლექსებს კითხულობენ.

მუხრანი გავიდა.

კარგა ხანს რომ არ დაბრუნდა, გულმა რეჩხი მიყო და გავყევი. ფოიეში მარტოდმარტო ზის სკამზე. უკან დაბრუნებას არ აპირებს.

უხერხულია, მუხრან, შენი იუბილეა, უნდა დაბრუნდე-მეთქი.

მიპასუხა:

რა არი, რეზო, უხერხული, ხო ხედავ, დარბაზი ნახევრად ცარიელია. თურმე არტისტიც არ გვყოლია, ლექსი რომ ხეირიანად წაიკითხო. საერთოდ, საქართველოში 99-მა პროცენტმა არ იცის, რა არი ლექსი. სიმართლე თუ გინდა, ეს არი.

მე და ელდარმა ხვეწნა-მუდარით, როგორც იქნა, შევაბრუნეთ დარბაზში იუბილარი.

...იქვე, მუხრანისავე პერიფრაზით ხუმრობით მიმინერია:

„საქართველოში რა არის ლექსი, დღეს თუ მარტო ერთს, შენ გესმის, მუხრან,

ეგ ღმერთმა ნუ ქნას, ეგ ღმერთმა ნუ ქნას“.

იმ დღეს მერაბ ბერძენიშვილის ალბომს ვათვალიერებდი.

ჩავიძირე ეროვნული ბრძნულ-გმირული სულის ზეიმში.

რა სიუჟეტები, რა მიგნებები, სიჯანსაღის, სილამაზის რა ფეიერვერკი.

გრძნეული ხელოვანი ახალ, განუმეორებელ სამყაროს ჰქმნის.

თითქოსდა აქ ყველაფერი ნაცნობია და ამავე დროს მიუწვდომელიც.

ცრემლით სავსე თვალებით დაცქერი „გამარჯვების მემორიალს“.

იგი გრანდიოზული მონუმენტია.

ზევით რკალზე ქართველთა გმირობის ამსახველი ბარელიეფი, ქვემოთ უბელო მტერთა რისხვად ცხენზე ამხედრებული მზეჭაბუკი.

ხელოვნების ეს შედეგრი დღეს აღარ არსებობს.

სააკაშვილმა ააფეთქა.

რა უნდოდა, რას ერჩოდა „გამარჯვების მემორიალს“.

ერთ ღამეს დავიძინე და დილით სრულიად სხვა საუკუნეში აღმოვჩნდი. ხუთი ათასი წლის განმავლობაში ჩვენ სრულიად სხვა ღირებულებებს ვიცავდით.

რას?

მამულის ყოველ მტკაველს, რაინდობას, ქალის მანდილის სინმინდეს, რჯულს... შოთა რუსთაველის ანდერძს მივყვებოდით და მივერთგულვებდით.

ახლა ეროვნული ფენომენის დაცვა ჩამორჩენილობად, ხოლო პატრიოტიზმი პროვინციალიზმად ითვლება.

უცხოეთიდან ჩამოსული კუტუნოს კონცერტზე დასასწრებად მთელი თბილისი დაიძვრება, ხოლო სასწაული რომ მოხდეს და რუსთაველი გაცოცხლდეს, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მოსასმენად ერთი პატარა კლუბიც არ გაივსება მსმენელითა და მაყურებლით.

2018 წლის 13 ივნისს ქართველი ხალხის მოთხოვნით გიორგი კვირიკაშვილი პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადააყენეს.

საქართველოს ასეთი უნიათო პრემიერი, რაც თავი მახსოვს, არასოდეს ჰყოლია.

ახლა იგი პოლიტიკური ლეშია.

თუმცა ჩემთვის კვირიკაშვილი პოლიტიკური ლეში ჯერ კიდევ მაშინ იყო, როცა შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილის ჩატარებაზე უარი თქვა და მწერლებისთვის მიხეილ სააკაშვილის მიერ წართმეული შენობის დაბრუნებაზე თავი შეიკავა (რითაც ფაქტიურად საქართველოს მესამე პრეზიდენტის, სააკაშვილის საქმე გააგრძელა).

გიორგი კვირიკაშვილს თავის დარჩენილ ნუთისოფელში საგზაად, სხვა „სასახელო საქმეებთან“ ერთად, ეს ორი სირცხვილიც ეყოფა.

ქართველმა მწერალმა რაც უნდა მოინდომოს, პოლიტიკას ვერ აცდებია, რაკილა „ავციოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა“.

ამასწინათ ერთმა ნაცისტმა ქალბატონმა ბრძანა, ჩვენ და „ოცნება“ ვერასოდეს მოვრიგდებითო.

ჩვენ ოდენ მოჩვენებითად, ოდენ საოქმოდ ვართ უმრავლესობა.

სინამდვილეში, ჩვენი უნიათობის გამო პარადი ისევ „ნაცებს“ მიჰყავთ. შეცდომა მაშინ იქნა დაშვებული, როცა „კოპაბიტაციაზე“ დავთანხმდით.

მართალი იყო ის ქალბატონი. ვერ მოვრიგდებით იმიტომ, რომ ერთის მხრივ ევროპული „ღირებულებისადმი“ უსიტყვო მორჩილებაა („ნაცები“) მეორეს მხრივ კი ქართული, ეროვნული ორიენტაცია („ოცნება“).

შეცდომის დაშვებაზე უფრო დიდი ცოდვა, იმ შეცდომის მონად დარჩენაა.

ხშირად დავდიოდით საინგილოში დიდი ქართველი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე და მე.

ვხვდებოდით იქაურ განამებულ ქართველებს, ვიბრძოდით მათთვის წართმეული გვარ-სახელების დასაბრუნებლად, ვამხნევებდით... სხვა რა შეგვეძლო.

ერთხელ (ეს ჩვენი ბოლო ჩასვლა იყო, ბატონი რეზო მალე გარდაიცვალა) აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა უბოდიშოდ ჩამოგვართვეს: „ვეფხისტყაოსანი“, „დედა ენა“, „ბიბლია“ და „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელო.

ჩვენს ახსნა-განმარტებას (ესა ვართ, ისა ვართ, ქართველთა მსოფლიო კონგრესის წარმომადგენლები ვართ...) იქეთა მხრიდან ყრუ კედელი დახვდა.

ვაი, შენ, უბედურო საქართველოვ!

სხვადასხვა დროს ხელისუფლებამ სამჯერ დახურა დიდუბის პანთეონი.

ამ ბოლო დროს იგი ნაცხელისუფლებამ დახურა. მიზეზი? ქართველ ხალხს ისტორიული მეხსიერება წაუშალეს ამით, ერისთვის დამაშვრალ პიროვნებათა ხსოვნა დაუკარგეს.

ეს სააკაშვილის სოროსული გეგმა! დიდუბის დახურვის ინიციატორი ვიცე-მერი, სოროსელი ნინა ხატისკაცი გახლდათ!

2018 წლის 13 ივლისს ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი თამაზ წიგნივაძე გარდაიცვალა.

რაკილა დიდუბის პანთეონი საიმედოდაა ჩარაზული, იძულებული გავხდით, თამაზ წიგნივაძე საბურთალოს სასაფლაოზე დაგვეკრძალა.

კიდევ ერთხელ მოვუსპეთ საშუალება თბილისელთა უმეტესობას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მამულიშვილის საფლავი პანთეონში მოინახულოს.

საერთოდ ხელოვანისათვის და განსაკუთრებით მწერლისათვის უსაზიზღრესი ეპოქაა, ჩვენი ეპოქაა.

გაქრა, წავიდა, აღარ არის ის, ვისთვისაც ვწერდით - მისი უდიდებულესობა მკითხველი.

ყიდვით ხომ არ ყიდულობს ჩვენი მოქალაქე წიგნს (მაღაზიაში ქუდი რომ შეუგდო, გამოსატანად არ შევა), საჩუქრად რომ მიართმევ, როგორც ზღარბს, ისე კიდებს ხელს.

ახლახან რომანი დავწერე. „ნამეზა“ ჰქვია. რომანში შევეცადე მეჩვენებინა, როგორ შეცვალა ულმოებელმა დრომ ქართველი კაცის ფსიქიკა, რა დღეშია ქვეყანა დღეს და რა ელის ხვალ. წიგნი შეეხება საქართველოს წამებას ისტორიის გრიგალთა ულმოებელ კვეთებაში.

დავწერე, მაგრამ რად გინდა, ჩემი უახლოესი მეგობრების გარდა არავინ წაიკითხა.

ვინც წაიკითხა, ენაცვალოთ ჩემი თავი, საქებარი სიტყვები არ დაიშურეს. სხვებმა?

ჩამოვურიგე ვის, ახლობლადაც მომაქვს თავი.

პროფესორებს, მწერლებს, ხელოვნებას ამგზავრებულ ინტელიგენტებს, პედაგოგებს, ერთ-ორ ჩინოვნიკსაც...

არც ერთმა არ წაიკითხა.


დავდივარ ახლა და მათხოვარივით თვალებში შევყურებ, იქნებ ზრდილობისთვის მაინც მითხრან ორიოდ სიტყვა, ტრადიციულ ტყუილზეც თანახმა ვარ: „ბატონო რეზო, ჩემი ცოლი კითხულობს და რომ დაამთავრებს, მერე წავიკითხავ“.

...ამას მე ვწერ, რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის და პუშკინის პრემიების ლაურეატი, ტრამპის არ ჩამომართვათ და დღეს საქართველოს ერთ-ერთი პოპულარული მწერალი... და არ მითხრას ახლა რომელიმე უმრწემესმა კოლეგამ, მკითხველთა რაოდენობას არ ვუჩივიო.

კარგი ცხოვრებისგან არ არის, რომ არაერთი მწერალი ქუჩებში ექსკურსანტებს დაატარებს, ან ტენდენციურ ტელეარხებში „სიბრძნეებს აფრქვევს“.

გაძლებას გისურვებთ, ძვირფასებო, ამ სასტიკ, უმადურ დროში.

„მაგრად დექთ!“ წიგნის დრო დაბრუნდება.



ავთანდილ ნიკოლიშვილი - 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და მეცნიერი ავთანდილ ოთარის ძე ნიკოლიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია: ბატონო ავთანდილ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ ჩინებულ წარმომადგენელს, მშვენიერ შემოქმედსა და ლიტერატურისმცოდნეს, თანამედროვე კრიტიკული აზროვნების გამორჩეულად საინტერესო წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გრძელდება თქვენი უაღრესად მრავალფეროვანი და საინტერესო მწერლური ცხოვრება. 1965 წელს გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები. მას შემდეგ პოეტური კრებულებიც გამოაქვეყნეთ და ყურადღება მიიპყარით, როგორც მშვენიერმა ლირიკოსმა, ორიგინალური და თავისთავადი ხელნერის მქონე პოეტმა.

და მაინც, თქვენ, უპირველეს ყოვლისა, ღრმად ერუდირებული და ფართო თვალსაჩინო მქონე ლიტერატურისმცოდნედ გიცნობენ. თქვენი მონოგრაფიული ლიტერატურისმცოდნეობითი კრებულები („გამოძახილი“, „ფიქრები თანამედროვე ქართულ ლირიკაზე“, „გაბრიელ ეპისკოპოსი“, „ნაკადები“, „ხიბლი რომანისა“, „თვალთახედვა“, „ლიტერატურული ეტიუდები“, „XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები“ (შვიდ ტომად), „პაოლო იაშვილი“, „ტიციან ტაბიძე“, „ნიკო ლორთქიფანიძე“, „გიორგი ლეონიძის ლირიკა“, „მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა“, „ქართველი მწერლები და აფხაზეთი“, „ეროვნული საკითხი სტალინის ნააზრევში“, „ევროპელი ავტორები ქუთაისის შესახებ“, „საქართველო, ისტორია და დღევანდელი“, „ქართველ მწერალთა ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი“ (ორ ტომად), „დავით ნერეთელი“) უაღრესად მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ლიტერატურისმცოდნეობისა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი ნვლილი ქართული ემიგრანტუ-

ლი ლიტერატურის და თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მიერ შექმნილი ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლაში. თქვენი წიგნები - „ქართული ემიგრანტული მწერლობა“, „ქართველოლოგიური ეტიუდები“ (ოთხ ტომად), „ქართულენოვანი ფოლკლორი და მწერლობა თურქეთში“, „ლაზეთი. ისტორიულ-ფილოლოგიური ნიაღვრეები“, „თურქეთის შავი ზღვისპირეთში - ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან“, „თურქული დღიურები“, „ქართული კულტურის კერა და ქართველები თურქეთში“, „ბაქოს ქართული დიასპორის ისტორიიდან“ სამაგიდო წიგნებს წარმოადგენს მათთვის, ვინც უცხოეთში მოღვაწე ქართველი მწერლების ნააზრევითა და ინტერესებულს.

მნიშვნელოვანი დამსახურება მიგიძღვით ქართულ-ებრაული ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლაში, რისი დასტურიცაა თქვენი ისეთი საყურადღებო წიგნები, როგორცაა „დავით და გერცელ ბააზოვები“, „ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის ისტორიიდან“ (ორ ტომად), „ებრაული თემა ქართულ მწერლობაში“...

ყველა ამ წიგნში ნათლად გამოჩნდა თქვენი დახვეწილი გემოვნება, ალლო, საკვლევი მასალის ღრმა ცოდნა, ფართო თვალსაჩინო.

გვახარებს, რომ თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირეთ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის კედლებში დაიცავით როგორც საკანდიდატო („სიმონ ჩიქოვანის პოეზია“ - 1974), ისე სადოქტორო („ქართული ლირიკა. XX საუკუნის 60-იანი წლები - 1983) დისერტაციები. წლების განმავლობაში იყავით ქსუ-ს ლაბორანტი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი, პრორექტორი სამეცნიერო დარგში, ქართული ლიტერატურის დეპარტამენტისა და ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 1996-2005 წლებში რექტორი იყავით და დიდი, ფასეული ნვლილი შეგქონდათ ქართული სამეცნიერო აზროვნების წინსვლაში. ხართ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ქართულ ლიტერატურაში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, სამეცნიერო ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“ პ/მ რედაქტორი, რუსთაველის საზოგადოების იმერეთის რეგიონალური განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტის წევრი და ამავე საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე...

არჩეული ხართ გელათის მეცნიერებათა აკადემიის, ფაზისის მეცნიერებისა და კულტურის აკადემიის, ნიუ-იორკის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის, ლიტერატურათმცოდნეთა აკადემიის, ქართველ მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა აკადემიის აკადემიკოსად.

თქვენი მრავალწლიანი, უაღრესად ნაყოფიერი სამწერლო თუ მეცნიერული მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა. მონიჭებული გაქვთ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გერცელ ბააზოვის სახელობის, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის (პარიზი), საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა აკადემიის, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჟურნალ „განთიადის“ პრემიები.

დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით. არჩეული ხართ ქუთაისის, ვანის და კოლუმბიის (აშშ) საპატიო მოქალაქედ. კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული საზოგადოების წევრი არჩეული ხართ XX საუკუნის 200 საუკეთესო ინტელექტუალს შორის. თქვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ მონიჭებული სიგელით...

ძვირფასო ავთანდილ! ჩვენს აღტაცებას და პატივისცემას იმსახურებს თქვენს მიერ განვლილი უაღრესად ნონადი და ფასეული ცხოვრებისეული გზა.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს უღალატო ძმასა და მეგობარს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ დიდ შემოქმედებით მიღწევებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

რევაზ მიშველაძე

ჩემო ავთანდილ!

მრავალხრივი შემოქმედი

დრო ისე სწრაფად გარბის, რომ ერთმანეთის დანახვასაც ვერ ვასწრებთ. შენმა 70-მა წელმა კიდევ ერთხელ გამახედა ჩემი პირადი ბიბლიოთეკის იმ მძიმე თაროსკენ, სადაც შენი წიგნები მიწყვია. შენ კარგად იცი, ეს თარო ერთხელ და სამუდამოდ რიდედაშვებული არ არის. ჩემთვის იგი სამუშაო თაროა. თითქმის ყოველდღე მინევს შენს წიგნებთან მისვლა, გადმოღება, გადაფურცვლა, კიდევ ერთხელ წაკითხვა, რადგანაც შენ ლიტერატურის შეუცვლელი მატრიანე და არბიტრი ხარ. შენგან ბევრ რამეს ვსწავლობ და დიახაც, მემამყება, რომ ლიტერატურის უძნელესი გზა ასე სასახელოდ და ლამაზად გაიარე. თუ ვინმეს შემოქმედებითი ენერჯია და მეცნიერული თვითდისციპლინა მოცუბს, ერთი შენა ხარ. ძველი რომაელები იტყოდნენ: „ნულა დიე სინე ლინეა“ („არც ერთი დღე ხაზის გარეშე“). მართლაც შენი ცხოვრება ყოველდღიურ აღმოჩენებსა და დაუმცხრალ შემოქმედებით ძიებაში გადის. ვერც ერთმა ოფიციალურმა თანამდებობამ - რექტორობამ, კათედრის გამგეობამ, რედაქტორობამ, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტობამ... შენი მთავარი მოწოდებისთვის და მთავარი საქმისთვის თითქოსდა წუთიც კი არ

დაგაკარგვინა. და აი, შენი უმდიდრესი ლიტერატურულ-მეცნიერული მოსავალი: შენ მწერლობაში ფეხის შემოდგმისთანავე მშვენიერ ლექსებს რომ თავი დავანებოთ, იკისრე თანამედროვე რთულ ლიტერატურულ პროცესებში გზამკვლევის ძნელი მისია. ერთიმეორეს მიანყვე უაღრესად საინტერესო გამოკვლევები და სახელმძღვანელოები უახლესი ქართული ლიტერატურის შესახებ. ამ დიდი საქმის კვალდაკვალ, რაიც ერთ მოღვაწეს სიგრძედაც ეყოფოდა და სიგანედაც, მეცნიერულ წრე-ბრუნვაში შემოიტანე ჩვენი ძნელბედობის გამო განთესილი, მაგრამ სულით ქართველი თანამოძმეების, ლაზების და თურქეთში მცხოვრები თანამემამულეების შემოქმედება. ქართველთა უპირველეს ისტორიულ მეგობრებს ებრაელებსაც დიდი პატივი დასდე იმით, რომ შექმენი სპეციალური ჟურნალი ქართველთა და ებრაელთა ძმობისადმი მიძღვნილი და არაერთი მშვენიერი ფაქტი შესძინე კულტურის ისტორიას ამ ორი ერის ურყევი მეგობრობისა.

სხვა რა გითხრა, ძმაო. ტკბილმოუბარი ლექტორი, ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწე, ყოველთვის გულისხმიერი და ყურადღებიანი, არაერთი მეცნიერის აღმზრდელი და დამფრთხიანებელი და, რაც მთავარია, კრისტალივით სუფთა და უანგარო პიროვნება - ასეთად გიცნობს საქართველო.

გაგიმარჯოს, ჩემო ავთანდილ!

სოსო სიგუა



დავით ჯანაშია

სვანეთის გზაზე

ლექსს ვუყვები ღამეს გვიანს, ფიქრი ღამად ბილიკს ზვერავს, მალე ემზარ ცინდელიანს, დავულოცავ სახლს და კერას. ვეჭიდები ცის თალს ხელით, ლოცვად ვდგები დარდის ლოთი, ხაიშს კუბდარს გეახელით, დავითვერი „ლილეოთი.“

ლიმილს გზებზე ღამად ევლოს, დავალ ხატთა სანახავად, დავუწოქებ საქართველოს, დავუწოქებ სვანეთს თავად. მუხლმოყრილი ლოცვად ვდგები, ლოცვით სანთლად დავიღვენთოთ, მეცოდება სხვა ქვეყნები, უთეთნულდოდ, უსვანეთოდ. მთებს ჩამოვხსნი ღრუბლის ტიხარს, ერთი ლექსი გულით დამყავს, „თუ სვანეთში არ ყოფილხარ, საქართველო არ გინახავს.“

ელოდა

მაყვალა გონაშვილს

ნისლში რომ დგახარ ფარ-შუბით, გოგო, მწარედ რომ გსუსხავს ქარი უხეში, „ეს იმას ნიშნავს, არ დაიჩოქო, სანამდე ძალა გიდგას მუხლებში.“

მტერსა და დუშმანს რა უხარია, რომ შენნაირი გვყვანან ქალები. არა, ტკივილი არ დაანყნარო, სამშობლოს ბედზე მსხვერპლად გაკრულო, თვალში გიბზინავს ცრემლად „ცხრანყარო“, შენს მკერდში ზარად გრგვინავს ჩაკრულო. შემინდე, ტკივილს ლექსები ვახლე, ბედს, მკერდგადახსნილს ძმად გავეფიცე, შენ, ალავერდის გშვენის სიმალლე, სილნადის კედლის გამკობს სიმტკიცე. რა ვუყოთ, ანმყო ცრემლით თუ დათვრა, რა ვქნა, ანმყოსთან ძველ დარდზე ვდაობ, შეგვისრულდება ოდესმე ნატვრა, მეფე ერეკლეს პატარა დაო. ჩემივე ჯავრი ცრემლში ჩავზილე, ეხვევა ღრუბლებს განცდა ფარული, კახეთო, დღემდე ვერ გაგიმხილე, უგონაშვილოდ ეს სიყვარული. მომინდა წარსულს ცრემლით გავხედო, არც ლოცვა მინდა დავაგვიანო, გიკოცნი ნახმლევე ბეჭებს, კახეთო, უღალატოვ და ქუდბედიანო.

აპარეკა

მთებს დაეფარა პირქუში ფარდა, ზეცა ღრუბელმა დაფარა ლეგამ, კოშკში ვისურვეთ ვახშამი სამთა, სტუმარმა, მზეომ და აპარეკამ. მთის ლეგენდებზე ყვებოდა ქარი, კოშკიც ლეგენდებს ყვებოდა მგონი, ნოხზე ეკიდა ხმალი და ფარი, აპარეკაის პაპის ნაქონი. ბინდში საათმა ცხრაჯერ დარეკა, ვოჟი კედელთან წყვილ სანთელს ანთებს, გაფუჭდა ბარი, ნუხს აპარეკა, თან ცერიან ლანგარს ხინკალს უმატებს. დადო ტაბლაზე ქათქათა ლუდი, კვამლი გააპო განიერ მკერდით, კართან, კაუჭზე დატოვა ქუდი, პირჯვარის წერით მომიჯდა გვერდით. ნახდა ვაჟობა, გაფუჭდა მოდა, ანმყო-წარსულზე იდარდოს ვინლა? ნუხს აპარეკა, კაცი გათხოვდა?! არ გამაგიჟო, შვილო საითლა? თითქოს ოთახში იუდა ნახა, დაკოჟრილ ხელებს მიაპყრო მზერა, „ფუი ეშმაკსო“-წამოიძახა, ლოცვით პირჯვარი გადაინერა. განა შეკრთა და კანონს ევაჭრა, ბოლმა რომ ჰქონდა ამნაირ ხალხის, მზექალამ ორი ტურისტი დაჭრა, ორივე კაცი, ცისფერი დამღის. შარშან ხატისკარს ცუდ ფორმით ნახა, პირშავებს როცა დაადგა თავზე, არც დაიმორცხვა, არც დაუძახა, გაარონია ტიტვლები გზაზე. ცრემლიან ბოლმას, ტკივილის თანმხლებს, წამოვაცოლე მწყრალი ოცნება, დღეს პატივს სცემენ ეროვნულ კახპებს, ვის დაკარგვია პატიოსნება, ცეცხლი აკვესებს კერაზე ალებს,

მზეომ შემოგდა ღვინით ჩარეკა, ხანჯალს მიაპობს დიაცი თვალებს, დუმს ღამე, მზეო და აპარეკა. ამაყად ამბობს ჭინჭარული, სიმდიდრეაო ბავშვების ყოლა, გაღმა ქისტების მოჩანს აული, მინარეთზე დგას ხნიერი მოლა.

მუსო

შეგბოჭე დარდით დღე გაბასრული, გაფვინე გზაზე მწარე იარა, თითქოს მესროლა მტერმა წარსული, გულში ისრებად რომ გაიარა. ზამთარი დაფრთხა, სითბოთი გახდა, დაუვინროვდა თხელი ჭალარა, დაიწყო თეთრი ქათობის გახდა, ტანზე სილურჯემ გადააყარა. შემოეხარჯათ მწვერვალებს ნისლი, გზას მიუყვება ქარი მთის იქით, და სურწყურისი, ზამთარის ქვისლი, გაქცევას ცდილობს სველი ბილიკით. მე ამ გაზაფხულს შენთან მოვყვები, როცა მთებს ფერი დაფარავს მწვანე, მხოლოდ და მხოლოდ შენ მოგიყვები, რა ტკივილები გადავიტანე. ჯერ შემორჩენილ სველ ფიქრებს დავსდევ, სანამ დღეები ჩემთვის იცლიან, მე უსათუოდ მოვალ შენამდე, რადგან უშენოდ არ შემიძლია. რადგან ფიქრებით შენს გულს ვედრები, რადგან კვლავ გველის დღე სამაისე, რადგან მეც მტკივა შენი კედლები, რადგან წარსულის ბურჯი ხარ ისევ. რადგან მე მტკივა შენი ლოდები, ჯერ ისევ ცივა, ისევ ქარია, ხომ მელოდები...? რომ მელოდები, მე მოვალ შენთან და მიხარია. გზას მომასწავლის შენსკენ იელი, თქმულბებს ბექორად მომასხამს მთვარე, თითქოს მიტაცებს გადამთიელი, გამილე კარი და შემეფარე. შენთან იქნება სუნთქვა მარადი, მიუნვდომელ და მოუხრელ მთებში, დაბადებამდე შენ მიფარავდი, ახლაც მიფარავ შენც სიბერეში. კვლავ გვეწვევიან ფიქრები ლალი, მე რომ მიყვარხარ, ნლებმაც იციან, მკაცრი სიჩუმე, შენი ყონალი, იცოდე, ჩემიც ძმადნაფიცია. რა ვუყო ცრემლებს, ტკივილის თანმხლებს, შენ, ქედუხრელო და ერთადერთო, ხატთან თუ სანთლებს არავინ გინთებს, იქნებ ეს ლექსი სანთლად აგენთო. ანმყო მტერივით თუ ისარს ისვრის, ქავზე დარდები დაკიდე გუნდად, თან მომიხარე ხინკალი ნისლის, მე დავაყოლებ სინანულს ლუდად. მაშ, სევდა რატომ დაგიჟინია, თუ დამიჯერებ, შენს დარდზე ვდარდობ, ნუ გეშინია...ნუ გეშინია... მე არასოდეს დაგტოვებ მარტო.



- ბატონო ამირან, გთხოვთ ორიოდ სიტყვით შალიკაშვილების გვარის წარმომავლობის შესახებ გვიამბოთ და კონკრეტულად თქვენი სახელისა და გვარის ადგილზე შალიკაშვილების გვარის გენეალოგიის ხეზე.

- შალიკაშვილები იმთავითვე გამორჩეული გვარი იყო საქართველოში. ვაჟკაცობა და ნიჭიერება მათ ოდითგან მოსდგამს. გენერალ ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის მამამ შვილებს ანდერძად დაუბარა - „ვინძლო ღირსეულად ატაროთ ეს დიდებული გვარი თქვენ და თქვენმა შთამომავლობამო“ და მართლაც, შვილებმა მთელ მსოფლიოს დაამახსოვრეს ეს ქართული, უცხოელებისათვის არცთუ ადვილად გამოსათქმელი გვარი. წარმოშობით შალიკაშვილები მესხები არიან და დიდი გავლენით სარგებლობდნენ მესხეთ-ჯავახეთში. ლეგენდასავით არის, რომ ჩვენი გვარი თამარ მეფის დროიდან მოდის. XVI-XVII საუკუნეებში სპარსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ შალიკაშვილები. შაჰ-აბასის ბებია შალიკაშვილის ქალი გახლდათ. ჩვენს გვარში ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია - ან ვართ მხედართმთავრები ან ხელოვანები. ერეკლე მეორე ამბობდა „ხუთითა შალიკაშვილითა ხუთასსა სპარსელს თავს მოვაჭრიო“. ბაზალეთის ცნობილ ტრაგედიაში სხვა ქართველი თავადებისაგან განსხვავებით სწორი ეროვნული პოზიცია დაიჭირა და გიორგი სააკაძეს მხარში ედგა თავადი როსტომ შალიკაშვილი. 1812 წელს ბოროდინოს ბრძოლაში თავი ისახელა გენერალ-მაიორმა ანტონ შალიკაშვილმა. ამ გვარის ღირსეული წარმომადგენელი იყო ბიძაჩემი, ვალერიან შალიკაშვილი, ცნობილი რეჟისორი, მსახიობი და სახელმწიფო მოღვაწე.

- ახლახანს თქვენი რედაქტორობით გამოვიდა რეზო ჭიჭინაძის ისტორიული ნარკვევი „პეტრე შალიკაშვილი“. ვინ იყო პეტრე შალიკაშვილი და რა გაკავშირებთ მასთან.

- მეცხრამეტე საუკუნის რუსული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიაში კარგად ცნობილ მწერალსა და რედაქტორზე, საზოგადო მოღვაწესა და მოაზროვნე პეტრე

ივანეს ძე შალიკაშვილზე აქამდე არ დანერვილა მონოგრაფია არც ქართულ და არც რუსულ ენებზე. პეტრე

შალიკაშვილი ქართველი იყო, მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მიმდინარეობდა რუსეთში, უმთავრესად მოსკოვში. იგი იმდროინდელი რუსეთის საზოგადოებრივი, ლიტერატურული და პოლიტიკური ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და ფრიადნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა. რუსული ლიტერატურის ისტორიაში პეტრე შალიკაშვილი შევიდა, როგორც პოეტი და პროზაიკოსი, მთარგმნელი და ლიტერატურის ისტორიკოსი. მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა, რომელიც დიდია თავისი პერიოდიტაც და ამ მოღვაწეობის ნაყოფითაც, რუსული ჟურნალისტიკის ისტორიაში ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი თავია. ახალგაზრდა ჟურნალისტის რევაზ ჭიჭინაძის მონოგრაფიას პეტრე შალიკაშვილის ცხოვრებასა და სამწერლო-ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე უთუოდ მადლიერების გრძნობით წაიკითხავს ქართველი მკითხველი, რომელთაგან დიდი უმრავლესობა, ალბათ, პირველად გაეცნობა თავისი თანამემამულის, ვახტანგ VI-ის ერთ-ერთი თანმხლები პირის შთამომავლის შემოქმედებას. პეტრე შალიკაშვილი პუშკინის ნაწარმოებების პირველი გამომცემელი იყო და თავადვე რედაქტორობდა ამ წიგნებს. „იგი მართლაც რომ პოეტი, მშვენიერი სულის პოეტი, ჭეშმარიტად ღირსი ამ სიტყვებისა. მე საქვეყნოდ ვაცხადებ ამას და საზოგადოებასაც დავარწმუნებ ჩემი ნათქვამის ჭეშმარიტებაში“ - ამბობდა ალექსანდრე პუშკინი. პეტრე შალიკაშვილის შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი სახის ასეთი თავგამოდებული დაცვა მშვენიერი პასუხია იმ ადამიანთა მიმართ, ვინც წლების განმავლობაში მის სამწერლო-ჟურნალისტურ მოღ-

ვაწეობას გესლიანი ირონიისა და პირადი შურიანობის საბურავს აფარებდა, თხზავდა და ავრცელებდა ხმებს შალიკოვის უცნაურობაზე, აზვიადებდა მის ეპიგრამულ თქმებს, ხატავდა მას „თავზეხელაღებულ კნიაზად“ და რაკი ამ სახის ჭორიკანები ყოველთვის ვერ აღწევდნენ მიზანს, შეგნებულად ხუჭავდნენ თვალს შალიკაშვილის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე, რუსეთისა და რუსი ხალხისადმი მის თავდადებაზე, ღვარძლიანად აუფასურებდნენ „უცხო მოდგმის თავადის ამბავს“. რევაზ ჭიჭინაძის ნაშრომი მოსაწონია იმით, რომ ავტორმა ფართო მკითხველს გააცნო რუსეთში ერთ დროს პოპულარული, გამოჩენილი ჟურნალისტისა და მწერლის, დაუმსახურებლად მივიწყებული პ. შალიკაშვილის მოღვაწეობა. გაგვახსენა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის შეკრებისა და გამომზეურების

დება, ვერ გავარკვიეთ, ვინ არის მყიდველი. ყველანაირი საბუთი გვაქვს გაგზავნილი სამინისტროებში, მაგრამ არავითარი რეაქცია და პასუხი არ ჩანს.

- ჩვენთვის ცნობილია, რომ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა თავი შეირცხვინა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილის ჩატარებაზე უარის თქმით, მაგრამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ამ იუბილისადმი მიძღვნილმა თქვენმა სპექტაკლმა „ვეფხისტყაოსანი“. თუ გეგმავთ ამ საინტერესო სპექტაკლის გაცნობას უცხოელი მაყურებლისათვის და საერთოდ, ქართულ თეატრში თუ დადგა ვინმემ „ვეფხისტყაოსანი“?

- ქვეყნის გარეთ არ გავციტანია. ძალიან ძვირი ჯდება, ჩვენ კი ფული არ გვაქვს. თუმცა საქართველოში ჩავატარებთ სპექტაკლებს - ფოთში, საჩხერეში, გორში... ერთიც აღსანიშნავია აუცილებლად, მთავრობიდან სპექტაკლს არ დასწრებია მთავრობის არც ერთი წარმომადგენელი, 70 მოსახვევი გავაგზავნეთ და არც ერთი არ მოვიდა. წარმანიას ვთხოვდით, ვეხვეწებოდით, მაგრამ არ მოვიდა. ქართულ თეატრში „ვეფხისტყაოსანი“ არ დადგმულა. 850 წელი გავიდა და ვერავინ შეძლო, მცდელობები იყო, მაგრამ საბოლოო დადგმა არ განხორციელდა.

- ბატონო ამირან, ამჟამად რაზე მუშაობთ და როდის ვიხილავთ თქვენს ახალ პრემიერას?

- მე დავიქადნე, გალაკტიონს დავდგამ-მეთქი და დღეს უკვე 20 ლექსი შეირჩა. სცენარის ავტორია რუსთაველის პრემიის ლაურეატი ბატონი რევაზ მიშველაძე. ეს იქნება რევაზ მიშველაძის ავტორობით ჩვენს თეატრში დადგმული მეხუთე პიესა („ტერენტი გრანელი“, „წმინდა გიორგი“, „ქრისტე“, „ვეფხისტყაოსანი“ და „გალაკტიონი“). უკვე დამთავრდა ლექსების და მუსიკის შერჩევა. მე ძალიან მიყვარს გალაკტიონი. ადრე მქონდა დადგმული „მესაფლავე“, რომელიც მოსკოვში ჩავიტანე და სპექტაკლს დაესწრო მარსელ მარსო, რომ დამთავრდა აღფრთოვანებული და გოცბებული იყო, ეს როგორ გააკეთეო და ხაზგასმით აღნიშნავდა: „ასეთი ნაციონალური, პროფესიულად ჩამოყალიბებული, ნიჭიერი კოლექტივი მე ჯერ არ შემხვედრია. იგი ღირსეულად ადგილს დაიმკვიდრებს ევროპულ პანტომიმის თეატრებს შორისო“. ახალ სეზონს გალაკტიონით გავხსნით.


მინდა აღვნიშნო, რომ ყოველივე ამასთან ერთად მე რვა პოეტური კრებულის ავტორი ვარ. ახლა ვმუშაობ ლექსების ახალ კრებულებზე ორ ტომად.

- დიდი მადლობა საინტერესო ინტერვიუსთვის, ბატონო ამირან, წარმატებებს გისურვებთ და მოუთმენლად ველით პრემიერას პანტომიმის თეატრში.

ესაუბრა მანანა გორგიშვილი

ახალი სპექტაკლების მოლოდინში...

საჭიროება, მემკვიდრეობის, რომლის გაცნობა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიული პროცესის შესწავლას. ამ მხრივ რევაზ ჭიჭინაძემ პირველი, მისაბაძი ნაბიჯი გადადგა და იმედი უნდა



ვიქონიოთ, რომ ამაზე არ შეჩერდება და მომავალში ის და სხვა მკვლევარებიც კიდევ მრავალი ახალი საინტერესო ფაქტით გაამდიდრებენ ჩვენს წარმოდგენას ამ თვალსაჩინო მწერლისა და ჟურნალისტის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

- ბატონო ამირან, კარგა ხანია საზოგადოების შემოფოთების საგანს წარმოადგენს თქვენი თეატრის შენობის პრობლემა. რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

- ამ მხრივ არც არაფერი შეცვლილა. ისევ ისე ველოდებით, გაურკვეველ მდგომარეობაში ვართ, შენობა გაყიდულია, მაგრამ ვერ გავყავარ შენობიდან. მოლაპარაკებები გრძელ-

ჯემალ გამახარია

აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე კავკასიელი მთიელების, ძირითადად აფსუა — აბაზების გვიან ჩამოსახლების ფაქტი, რომელსაც სეპარატისტული ისტორიოგრაფია არ აღიარებს, საყოველთაოდ ცნობილია. თითქმის ყველა აფსუა-აფხაზმა, ყველა აფსუურმა გვარმა იცის თავისი ჩრდილოკავკასიური წარმომავლობისა და აფხაზეთში ჩამოსახლებულ წინაპართა ისტორიული სამშობლოს მდებარეობის შესახებ. რაც მთავარია, კავკასიელ მთიელთა აფხაზეთში ჩამოსახლების ფაქტი დაფიქსირებულია XVIII — XIX საუკუნეებისა და უფრო გვიანდელი პერიოდის ქართველ (ვახუშტი ბაგრატიონი, დ. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი და სხვ.), რუს (ვ.ნ. ტატიშჩევი, ა.ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი, ა. კურაევი და სხვ.) და ევროპელ (პ. — ს. პალასი, ი. კლაპროტი, ფრ. დიუბუა დემონპერე, ე. სპენსერი და სხვა) ავტორთა შრომებში.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს თანამედროვე აფხაზების, ანუ აფსუა — აბაზების წარმოშობის საკითხზე. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს გამოჩენილი თურქი ისტორიკოსის, გეოგრაფისა და მწერლის ქიათიბ ჩელების მოსაზრებები. აბაზებს იგი ებრაული წარმოშობის ხალხად, მათ უშუალო წინაპრებად კი ასტრახანის მოსახლეობას მიიჩნევდა. ებრაელებში თურქი ისტორიკოსი იუდაიზმის მიმდევარ ხაზარებს გულისხმობდა და არა საკუთრივ ებრაელებს. ყველაზე მეტად იუდაიზმი სწორედ ასტრახანელ ხაზარებში იყო გავრცელებული. ქიათიბ ჩელების მოსაზრება სრულ თანხმობაშია პირველი საუკუნის ავტორის პლინიუს უფროსის ზემოთმოტანილ ცნობასთან აბზოას ტომის კასპიის ზღვის ჩრდილოეთით ვოლგისპირეთში (სადაც მდებარეობს ქალაქი ასტრახანი) ბინადრობის შესახებ. XVI საუკუნის წერილობითი და კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით, აფსუა — აბაზების წინაპრები უკვე მდინარე ყუბანთან ჩანან. ამას ადასტურებდა სპეციალური დავალებით რუსეთში არაერთხელ ნამყოფი ცნობილი გერმანელი დიპლომატი სიგიზმუნდ გერბერშტეინი (1486-1566 წწ.) თავის ცნობილ წიგნში „ჩანაწერები მოსკოვის შესახებ“. მისი მონაცემებით, მდინარე ყუბანის გასწვრივ Aphgasi ხალხი ცხოვრობდა, ყუბანის სამხრეთით კი სამეგრელო მდებარეობდა. ვენეციელი კარტოგრაფი ჯაკოპო გასტალდი (დაახლ. 1500-1565 წლები) მის მიერ 1561 წელს შედგენილ რუკაზე მდინარე ყუბანის შუა წელში აფიქსირებს Abcvas regi-ს, რომლის მთავარი ქალაქი იყო ცუა. ფლამანდიელი კარტოგრაფი ჰერარდუს მერკატორი (1512-1594 წლები) ევროპის რუკაზე, რომელიც მან 1544 და 1572 წლებში გამოაქვეყნა, ასევე აღნიშნავს ქალაქ ცუა-ს იმავე არეალში — მდინარე ყუბანთან.

ორივე კარტოგრაფი თანამედროვე აფხაზეთის მთელს ტერიტორიას სამეგრელოდ მიიჩნევს, ქალაქი სოხუმი კი სევასტოპოლის ფორმით აქვთ აღნიშნული. სრულიად ამკარაა, რომ

მოგვიანებით აფხაზეთში ჩამოსახლებულმა აფსუა-აბაზებმა თან ჩამოიტანეს თავიანთი მთავარი ქალაქის სახელწოდება — ცუა და იგი აფხაზეთის მთავარ ქალაქს — ცხუმს/სოხუმს შეარქვეს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მთიელთა ჩამოსახლების შესახებ, როგორც ზემოთ ითქვა, მრავალი ავტორი წერდა. ამ მოვლენის თითქმის თანამედროვე გახლდათ გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი ვ. ნ. ტატიშჩევი (1686-1750 წლები), რომლის შრომებს რუსული ისტორიოგრაფია წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს. იგი სავსებით სწორად წერდა, რომ აფხაზეთი (აფხეთი), არის „სამეგრელოს ჩრდილოეთი ნაწილი, რომელსაც თურქები და ყაზარდოელები აფხაზოსს ეძახდნენ, ჩვენი წინაპრები კი ობეზებს უწოდებდნენ. ამჟამად მისი უმეტესი ნაწილი ყუბანელებითაა დასახლებული“. ვ. ნ. ტატიშჩევის განმარტებით, ობეზები ჩრდილოეთ

ვინ არიან და საიდან მოვიდნენ „აფხაზები“

სამეგრელოს (აფხაზეთის) უძველესი მაცხოვრებლები ანუ ქართველები არიან. „ივერიელი — იგივე ობეზია“, — ამბობს რუსული მატიანე. ყუბანელები კი, რომლებიც აფხაზეთში გვიან შუა საუკუნეებში ჩამოსახლდნენ, რუსული მატიანეების მიხედვით, ჩერქეზულადილური ტომების წარმომადგენლები არიან.

კიდევ ერთი ცნობილი რუსი ისტორიკოსი ა.ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი 1905 წელს წერდა: „აფხაზები ყოველთვის როდი მოსახლეობდნენ აქ. მათი გადმოცემები, წეს-ჩვეულებები და მრავალი ისტორიული მონაცემი ადასტურებს, რომ ისინი ჩრდილოეთიდან მოვიდნენ და შეავიწროეს ქართული ტომები, სანამ ენგურთან არ შეჩერდნენ“. აფსუა-აფხაზების ჩრდილოეთიდან ჩამოსახლების შესახებ ა.ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი 1903, აგრეთვე 1909-1910 წლებშიც წერდა და აღნიშნავდა, რომ ეს ჩამოსახლება „მოხდა არც თუ ისე დიდი ხნის წინ, შესაძლოა, XVI-XVII საუკუნეებში“.

სავსებით სწორი მოსაზრებაა. მას მთლიანად იზიარებს თანამედროვე რუსი მეცნიერი ანდრია კურაევი. წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში აფხაზეთში იგი მისიონერულ საქმიანობას ეწეოდა, იმავდროულად რეგიონის ისტორიასაც სწავლობდა. 2013 წლის 26 ივნისს ერთ-ერთ კონფერენციაზე გამოსვლისას ანდრია კურაევმა დასვა „მეტად სერიოზული საკითხი: რა საერთო აქვთ აფხაზეთთან იმათ, ვისაც ჩვენ დღეს აფხაზებს ვუწოდებთ? ფაქტია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არის გასაოცარი უძველესი ქრისტიანული მართლმადიდებლური ტაძრები, არსებობდა უძველესი მართლმადიდებელი აფხაზეთის სამეფო, არსებობდა აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია. ყველაფერი ეს სიმართლეა! საქმე ის არის, თუ რა კავშირი აქვთ ამასთან იმათ, ვინც დღეს იქ ცხოვრობს? პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ადამიანე-

ბი თავის თავს „აფსუას“ უწოდებენ, თავის ქვეყანას — „აფსნის“ და არა აფხაზეთს. სიტყვა «აფხაზეთი» კი ქართული სიტყვაა, ე.ი. ისინი, ვინც ოდესღაც თავის თავს აფხაზებს უწოდებდნენ, ქართული ეთნოსის ნაწილს წარმოადგენენ, როგორც მეგრელები და სხვანი. ვთქვათ, ქართველებიც, ქართველი ისტორიკოსებიც ასე ფიქრობენ. ისინი მიიჩნევენ, რომ აი, ის ავთენტური, ქართული ეკლესიის ნიაღში და ქართველ ხალხთან გაერთიანებული მართლმადიდებელი აფხაზები თურქებმა გაჟლიტეს და გამოდევნეს იქიდან, იმ სანაპიროდან მე-16-17 საუკუნეებში. ნაწილი გაქრა და ნაწილი აღმოსავლეთით, საქართველოს ღრმა მთიანეთში გაიხიზნა. ხოლო დაცარიელებულ სანაპირო ზოლში თურქულმა ხელისუფლებამ მთებიდან ჩერქეზები ჩამოსახლდა და უთხრა: — ამიერიდან აქ იცხოვრეთ. ანუ გამოდის, რომ აფხაზეთის ამჟამინდელი მოსახლეობა დიდი ხანი არაა, რაც იქ არის; მაგრამ მათ ეამებათ თა-

ვიანთი თავი იმ უძველესი ტაძრების მშენებლებად და მემკვიდრეებად მიიჩნიონ როგორც, მაგალითად, ვალახები ნეტარებენ იმის გამო, რომ ჩვენ ძველი რომაელების მემკვიდრეები ვართო, თავის თავს რუმინელებს, რომეებს, რომანებს, უძველეს რომაელთა შთამომავლებს უწოდებენ; თუმცა დაკებს რა კავშირი აქვთ რომთან — ძალიან, ძალიან შორეული. მაგრამ რუმინელები პატიოსნად მაინც აღიარებენ, რომ მათთან რუმინეთში იმპერატორ ტრაიანეს კულტია. რატომ? იმიტომ, რომ ტრაიანემ დაიპყრო დაკები. და აი, გასაოცარი ისტორია: ე.ი. ერი თავყანს სცემს თავის დამპყრობელს იმიტომ, რომ — ჩვენ, ბარბაროსები, ამით ევროპულ ცივილიზაციას გვაზიარესო. აფხაზეთში საპირისპირო სიტუაციაა. ის ძირძველი აფხაზები მათ არ დაუმარცხებიათ, მათი დახმარების გარეშე მოხდა როგორღაც ეს დეპორტაცია. მათი მიწები კი დაისაკუთრეს, სახელიც ნაწილობრივ მიითვისეს, მაგრამ არა თავიანთის, არამედ ტურისტებისთვის. თავის თავს ისინი აფხაზებს არ უწოდებენ. ამას აკეთებენ მხოლოდ რუსულ ენაზე და უცხოელებთან, აგრეთვე ნაწილობრივ სხვა ისტორიაზე საუბრისას. მე თუ აფხაზებს ამის მოყოლას დავუწყებ, ისინი ძალიან განაწყენდებიან, ქართველების აგენტს დამარქმევენ“.

ანდრია კურაევის მოსაზრება აფხაზეთის ისტორიის შესახებ სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. იგი ეფუძნება სხვადასხვა თაობის ქართველი, რუსი და ევროპელი მეცნიერების დასაბუთებულ დასკვნებს.

აფხაზეთს და აფხაზებს კარგად იცნობდა გერმანელი მეცნიერი პიეტრო — სიმეონ პალასი (1741 — 1811 წლები), რომელიც პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრიც იყო. 1793 — 1794 წლებში მან კავკასიაში იმოგზაურა და 1811 წელს ამ მოგზაურობის შესახებ პარიზში წიგნიც გამოსცა. ავტორი აფსუა-აფხაზებს „აბსნე“-ს სახელით

მოიხსენიებს და მათ შესახებ წერს: „ეს ხალხი, როგორც ჩანს, წარმოშობით კავკასიის მთების ჩრდილო — დასავლეთი ნაწილიდანაა“.

აფხაზეთა წარმოშობის შესახებ წერდა კიდევ ერთი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ჰაინრიხ იულიუს კლაპროტი (1783 — 1835

წლები). კავკასიასა და საქართველოში 1807 — 1808 წლებში განხორციელებული მოგზაურობის შემდეგ გერმანულ და ფრანგულ ენებზე მან რამდენიმე ნაშრომი გამოსცა. ეყრდნობოდა რა მეცნიერთა შორის აფსუა-აფხაზეთა (აბსნე) შესახებ გაბატონებულ მოსაზრებებს, 1812 წელს ის წერდა: „ფიქრობენ, რომ ისინი ჩრდილო — დასავლეთ კავკასიის აბორიგენები არიან და მოგვიანებით გავრცელდნენ სხვა რაიონებში“87. იგივე მოსაზრება გაიმეორა კლაპროთმა 1823 წელს პარიზში გამოცემულ წიგნშიც88. 1827 წელს გამოცემულ ნაშრომში მან უფრო გარკვევით აღნიშნა, რომ აფსუა-აბაზები „ძალიან დიდხანს ცხოვრობდნენ კავკასიის ჩრდილო — დასავლეთ ნაწილში“. სწორ დასკვნამდე მივიდა ფრანგული წარმოშობის შვეიცარიელი მეცნიერი, პარიზის აკადემიის წევრი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე.

კავკასიაში მოგზაურობისას, 1833 წელს ის აფხაზეთშიც იმყოფებოდა. თავის კაპიტალურ ნაშრომში, რომელიც ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ 1839 წელს პარიზში გამოსცა, წერდა იმის შესახებ, რომ სამეგრელოს ქართული პროვინცია, რომელსაც დადიანები მართავდნენ, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ დაახლოებით ჯიქეთამდე ვრცელდებოდა. ფრანგი მეცნიერის აზრით, სამეგრელო მტერთა მუდმივი თავდასხმების ქვეშ იმყოფებოდა და შავი ზღვის „ამ მშვენიერი სანაპიროების გასწვრივ, ერთის მხრივ, ჩერქეზთა, მეორეს მხრივ, თურქთა სისხლიანი ხელი დასეირნობდა. მთავრებმა დადიანებმა, რომლებიც ორი საუკუნის წინ იძულებული გახდნენ თავიანთი საზღვრები ანაკოფიაში გადაეტანათ, ახლა მდინარე ლალიძგამდე დაიხიეს და აფხაზეთი, ეს ბედკრული ქვეყანა, ისეთივე ველური გახდა, როგორც ამერიკის ტყეები: ყველაფერი ნანგრევებად იქცა, ყველა ეკლესია ჩამოიქცა, ცივილიზაციის ყველა კვალი წაიშალა“90. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს დასკვნა ადასტურებს XVI-XVII საუკუნეებში ჩრდილო — დასავლეთ საქართველოში აფსუათა ჩამოსახლების უცილობელ ფაქტს. როგორც ვხედავთ, სეპარატისტთა მტკიცების მიუხედავად, აფსუა — აფხაზები ქართველთა მიერ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე საუკუნეების მანძილზე შექმნილი ქრისტიანული ცივილიზაციის არა შემოქმედნი, არა თანაშემოქმედნი, არამედ მისი გამანადგურებლები არიან. აფსუა-აფხაზები ამ ქრისტიანული ცივილიზაციის შემქმნელები რომ არ არიან, მტკიცდება მათ ენაში ქრისტიანული ტერმინოლოგიის (მათ შორის ისეთი ძირითადი ტერმინების, როგორიცაა ქრისტი, ქრისტიანი, ეკლესია, მღვდელი, ჯვარი, შობა, აღდგომა, ნათლობა და ა.შ.) არარსებობითაც. აფხაზურ ენაში მთელი ქრისტიანული ტერმინოლოგია ქართული ენიდანაა ნასესხები.



ბადრი სულაძე

თუმცა სიყვარულს, წერილად გაცრილ ქვიშაზეც ვრგავდი და სინანულით თვალზე მომდგარ ცრემლს ვანვალედი, - არაფერია, მინის ზურგზე, იმაზე კარგი, როცა მინას გრძნობ, შენი ზურგის ყველა მტკაველი... გზაც რომ იძინებს, შენ კი ძილი არ გეკარება და სახეც მხოლოდ ზეცასავით შენისლულია, - როდესაც ქარი ვარსკვლავების რემას გარეკავს - თითქოსდა ისიც ბობოქარი შენი სულია... თითქოს, სიჩუმეც სინათლისკენ იწევეს აფრებად და ცოდვილთაგან ალბათ ყველა ღეთისმოსავია, - როცა ჰაერი ქუთუთოებს მყისვე ანება, როგორც მზის ჭავლი, მოშვებული ცის ონკანიდან.... ცეცხლის ხაზზედაც, სადაც სუნთქვად იკმარეს დარდი, ცა იქცა ჯილდოდ, - მიუსაფარ ნელთა მფარველი... არაფერია, მინის ზურგზე, იმაზე კარგი, როცა მინას გრძნობ, შენი ზურგის ყველა მტკაველი...

ნამოქცეული ბელელივით მარტოა ზეცა, როგორც წვიმისგან ასავსები მინის ფორები... ფიქრმა კი, სევდაც მოგონებად აღმოაცენა, - მამლაყინების დაკბილული ბიბილოებით... ბინდი, რომელიც ხის ძველ გობზეც აღარ ეტევა, დედის ხელებით ჩასაკრავი პურის სუფევით, - ჩამოსახრჩობად ის ბინდიც კი არ მემეტება, სულ რომ გზას ვჭვრეტდე, უსაშველო ურვის ყულფებით... ღრუბლის ქულები ერთიანად რომ ჩამოჩეჩეს, ახლა ქარებიც მზის ფესვებთან ტანჯვით სობავენ... ქარვის კომპები, ბალახების მთროლოავ ფოჩებზე, ნამს აგროვებენ, რომ უშველონ დარდის სობანეს... თავი მოვხადე

საზედაზე ქვევრსაც გულივით, სისხლის წვეთებს რომ მირონივით ოფლში ვურევდი... პეშვით ვაგროვე დაუმშრალი ყველა წყურვილი, რომ მიმეტანა მზის ჩასვლამდე - ხსოვნის ურმებით... კომპის სურნელიც ცისკენ სავალ კიბეს ამოკლებს... და იმ სურნელთან იკვეთება წამის სათავეც, - შებინდებისას, მზე რომ ოქროს სხივებს წამოკრეფს და დედასავით, წინსაფარსაც აიკალთავებს...

სულის ნავებმა დამავინყეს ნავსაყუდარი... და თუმცა, გზაც კი აღარ მახსოვს სიმწრით ნასწავლი, - მაინც მიტვირთა, ჩემი წყენით და სამდურავით ცამ, - წინამხარზე დაკიდებულ თილისმასავით... წვიმის ლაშქარი ლახვარით თუ დაღუპავს თავთავს, დახრილ სხეულში სინანული კვლავ დულს სისხლადაც... და აღარ მინდა, რომ წავაგო საკუთარ თავთან - ბრძოლა, - რომელიც მეორდება დაუკითხავად...

ბევრი წვიმა და ქარიშხალი დამიდგამს თავზე, როგორც ბედისგან მოქსოვილი სევდის გვირგვინი, თუმცა, სიცოცხლის სიფერმკრთალეს კვლავ მილამაზებს, წვიმის სარკმლიდან გამოხედვა სველი გვირილის... ატალახებულ ბილიკებსაც მისვდევი ნისლივით, ნუ მემალბებით, ნუ მანვალბებთ, სვე ლო კბოდელო, მაინც გიპოვით, საუკუნოდ იმედმისჯილი, კვლავ ნახირივით, ჩემს ფიქრებში რომ შემოგდენოთ... ფიქრის ნავებმა დამავინყეს ხშირად სიმშვიდე, თუმცა სიმშვიდეც სიმარტოვით ვნახე დაღლილი, როგორც ღუმელი ვერ დაფარავს თავის სიშიშვლეს, ისე შიშინებს ჩემი გულიც ნალვერდალივით... ისევე დავითვლი წვიმის წვეთებს მცივან რტოებზე, როგორც ვარსკვლავებს, სულს რომ ლურსმნად ეჭედებიან... მერე ფიქრები, მთის წვერზე რომ მიმატოვებენ, ღრუბლების ქაფში ხელეებს ჩავყოფ, მეჭყებინას...

როცა უსაგნო ნაპირიდან, ცისკენ გავცურე, გზა რომ მეპოვა, ფუტკრებისგან ნაიმედები, - ფიჭის უჯრედით, თუმცა გავცდი ყვითელ სართულებს, ცას ვერ მივადგი სანთლის კიბე, დაღლილ ფერდებით... მზერაც, ჩამოშლილ ქონგურებისქვას რომ წაგავს და ფუტკრებისგან ვერშემჩნეულ დღედ რომ წარჩენობს - ცამ ჯვრის საზიდად კვლავ მინახე გადმომბარგა... და ველოდები, ვინმემ ხელი შემომამშველოს...



ოთარ რურუა

ჩემი სამშობლო

ჩემი სამშობლო სულ სხვაა მაინც, აქებს მარაბდელს, მცხეთელს, ასპინძელს, ფალიაშვილი აქ წერდა „დაისს“, ვაჟა აქ თხზავდა „სტუმარ-მასპინძელს“.

ჩემი სამშობლო სულ სხვაა მაინც, პეშვით შემისვამს წყალი რიონის, აქ წინაპრების საფლავი არის, აქ განისვენებს გალაკტიონი.

ვერ შეგვაშინებს მტერი ვერანი აღმაშენებლის ჯიშის ქართველებს, ვართ პატრონები ტატოს „მერანის“, ჩვენს დაჭრილ გულსებს დრო გაამრთელებს.

მწამს: მოფუყვებით შვილებს გმირებზე, დაზრდით თევდორედ, ცოტნედ, საჩინოდ, რომ კვლავ შევიდგათ უღელი მხრებზე და მოშავალი გადავარჩინოთ.

ისევ მივყვები ვაჟას ნაკვალევს

ისევ მივყვები ვაჟას ნაკვალევს, ჩემშიც ცოცხლობენ გმირები მისი, ვიდრე ლექსებს ვწერ ჩამქრალ ვარსკვლავზე - მიყვარს ჩარგალი, როგორც თბილისი.

ისევ მივყვები ვაჟას ნაკვალევს, შორს არწივების ვხედავ საბუდარს, კვლავ იზრდებიან ფშავის არაგვზე ლელა, ალაზა, ზეზვა, ალუდა.

გულში ჩაესმით ხმები ჩანჩქერთა, ვით სიმღერები გარიჟრაჟული, რაზიკაშვილის ჯიშ - ჯილაგიანთ მსურს დაველოცო მთების ნაჟური.

ალსარება

ვერ ავისრულე გულის წადილი და ვერ შევმატე მისხალს - მისხალი, სახსოვრად დამრჩა დედის მანდილი, ღმერთთან ნავიდა სწორედ ის ქალი, -

მე რომ ვუყვარდი ალაღად, წრფელად, არც გაუვლია ლალატი გულში, არ არსებობდა ჩვენ შორის წყენა, გაზაფხულზე კი ჰყვარდა ნუში.

თუმც კვლავ მივყვები დროის დინებას, ნელ - ნელა ვხდები გულწათხრობილი, რა ვქნა, უფალმა ასე ინება, ვარ ამ სევდიან ამბის მოხრობელი.

ჯანდაბას ჩემი წადილი გულის, მე ამ სამყაროს ჯერ კიდევ ვხედავ... და ცოცხლობს ჩემში ის სიყვარული, რომ მიწილად მშობელმა დედამ.

ქართველ ქალს

ქართველო ქალო! დამბადებელმა შენი გაჩენით მაღლი მოისხა, მაშ, დედის გულის გამხარებელმა - არ დაივიწყო „ვისი გორის ხარ“.

ვიდრე ხარ, დაე! - გახსოვდეს ვინ ხარ, გაქვს ქართველის დედის ძუძუ ნაწოვი, ერთ სიცოცხლედ, ერთ სინდისად ღირხარ, ვით დედოფალი - ქმართან ნაწოლი.

ვარ სიყვარულის მუდამ ერთგული, მწამს სინარნარე - სიანკარისა, რომ შენში არის ერთად შერწყმული პირიმზისა და პირიმთვარისა.

ვიდრე არსებობ, გახსოვდეს რომ ხარ ქეთევანის და თამარის ჯიშის, ვით მოცეკვავს, გიხდება ჩოხა, ქედს ნუ მოიხრი წინაშე შიშის.

ქართველო ქალო! დამბადებელმა შენი გაჩენით მაღლი მოისხა, მაშ, მშობლის გულის გამხარებელმა - არ დაივიწყო „ვისი გორის ხარ“.

ვაზო! - ჭირიმე შენი ნაჟურის

დასასრულისკენ როდესაც წავალ, ამიცრემლდება ვაზი ქართული. თუმცა სანუთროში ეულად დავალ, ვარ ქართველობით ნელგამართული.

ვაზო! - ჭირიმე შენი ნაჟურის, იესოსავით ჯვარზე გაკრული. როგორც სიმღერა გარიჟრაჟული, კოსმოსშიც ისმის შენი „ჩაკრული“.

მაშ, შეიმშრალე ცრემლები ისევ, ბავშვივით ნულარ ამიტირდები. გული სიამით ისე ამივსე, რომ სიცოცხლეზე მეტად მჭირდები.

ხევისრული ბალადა

ხევისურის გოგო ვიხილე შვლის ნუკრისთვალეზიანი, არც ის მაკლებდა ღიმილებს, არც მე მიქნია ზიანი.

იმასთან ცეკვა მენადა, ვაკეთე კიდეც ჩაკვრები, იმის მარჯვენის ჭირიმე, ვინც დაგვირწია აკვნები.

პირველ შეხვედრისთანავე გულს გამიჩინა იარა, სულმოუთქმელად დავცალე თეთრ ღვინით სავსე ფიალა.

თუმც სევდით სავსე ვაჟი ვარ, - მაცხოვრებელი ბარადა, ტკბილ მოგონებად დამრჩება ეგ ხევისურული ბალადა.



მიმოზა ცანავა – 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი მიმოზა ალექსანდრეს ასული ცანავა.

ქალბატონო მიმოზა!

ჩვენო საყვარელო თანამოკალმე! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან მშვენიერ პოეტსა და მანდილოსანს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 70 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

დიხაც რომ ნახევარი საუკუნე გასულა მას შემდეგ, რაც პირველი ნაბიჯები გადადგით სამწერლო ასპარეზზე. 1968 წელს ზუგდიდის საქალაქო გაზეთ „მებრძოლში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსი „დედა“ და მას შემდეგ მუხლჩაუხრელად ემსახურებით ქართულ პოეზიას, ქართულ ლექსს, როგორც მისი უღალატო და ქედუხრელი პილიგრიმი.

თქვენი პოეტური კრებულები „თვალთა უპეში ჩამდგარი ცრემლი“, „დამსხვრეული ყავარჯენი“, „ოდაბადე“, „კოლხური სევდა“, „მარტოობის ქალი“, „ტიკვილის ტვირთი“, იმთავითვე მოექცა ქართველი მკითხველისა და სალიტერატურო კრიტიკის თვალთახედვის არეში. ამ კრებულებიდან ხომ მათ სიყვარულისთვის, ბედნიერებისთვის შექმნილი არსება ესაუბრებათ, რომელსაც ბედისწერამ მირიადი ტკივილი, დარდი და ცრემლი უწილდა, ესაუბრება ამა სოფლის წარმავლობაზე, მუხანათობასა და დაუნდობლობაზე, ღალატსა და შურზე, რომლებმაც მაინც ვერ გატყნა და ვერ დააძაბუნა სამშობლოს ალიკვალი შემოქმედი, ვერ დააძაბუნა იმიტომ, რომ სიყვარულის, სინამდის, კეთილშობილებისა და ერთგულების სიმბოლოდ რჩებოდა მუდამ...

თქვენი ლექსები თარგმნილია სომხურ და რუსულ ენებზე.

თქვენს სულში დატრიალებული გრივალებისა თუ ქარიშხლების ნაყოფია უაღრესად საინტერესო და ამაფორიაქებელი პოეტური მონოლოგი „დამსხვრეული ყავარჯენი“, რომელიც შემდგომ მონო-სპექტაკლად იქცა და წარმატებით დაიდგა ჯერ მწერალთა კავშირის სასახლეში (დღემდე ოკუპირებული რომ არის გაურკვეველი დაჯგუფების მიერ), შემდეგ კი — ერთი მსახიობის თეატრში, მოზარდ მაყურებელთა თეატრში, კულტურის ცენტრ „მუზაში“. ამ სპექტაკლის ერთადერთი და განუმეორებელი აქტიორი ხომ თქვენ იყავით, რომელიც დამსწრეთ სულიერი მხნეობის არნახულ მაგალითს აძლევდა და შეახსენებდა, რომ ადამიანი ძლიერია მანამდე, სანამ მის ზურგს უკან დიდი სიძარითლე დგას, ადამიანური სიმართლე.

შინაგანი სიმტკიცისა და გაუტყელობის დასტურია თქვენი საზოგადოებრივი მოღვაწეობაც. წლების განმავლობაში ენოდით პედაგოგიურ მოღვაწეობას ზუგდიდის საშუალო სკოლებში, სადაც მოზარდებს მუსიკას და ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდით; დამფუძნებელი ხართ ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაციისა, ასოციაცია „დამსხვრეული ყავარჯენისა“, იყავით გაზეთ „ნათლის სვეტის“ მთავარი რედაქტორი. არჩეული ხართ „ფაზისისა“ და „აიას“ აკადემიების აკადემიკოსად...

მონიჭებული გაქვთ ტერენტი გრანელის, ანა კალანდაძის, ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ პრემიები. ჩვენო მიმოზა!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ სახელოვან იუბილეს ჩინებულ შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მშობელი ქვეყნის გაბრწყინებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ნანი ახოზაძე — 75

75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მთარგმნელი და გამომცემელი ნანი ვლადიმერის ასული ახოზაძე.

ქვირფასო ქალბატონო ნანი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ჩინებულ მთარგმნელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 75 წლისთავს.

თქვენ თქვენი არსებობითა და ღვინო ყველას ერთ მშვენიერ მაგალითს აძლევთ იმისა, თუ რა თავდადება შეიძლება ემსახუროს შემოქმედი მშობელ ქვეყანას, ერს, მშობლიურ ლიტერატურას და ამავე დროს, ჩუმად, უხმაურად აკეთოს მეტად მნიშვნელოვანი საქმეები.

თქვენი სამწერლო ნათლობა 1981 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ალექსანდრე ბლოკის წერილების თქვენული თარგმანი. მას შემდეგ აქტიურად, ნაყოფიერად იღვნიო მწერლობის ისეთ ურთულეს დარგში, როგორც მხატვრული თარგმანია და თქვენი წვლილიც შეგაქვთ ქართული მწერლობის განვითარებაში.

თქვენ ხომ დიდი დაგეგმვებით, ძალზე სათუთად და ფაქიზად არჩევთ სათარგმნ მასალას და ხშირად გემოვნებიან ქართულ მკითხველს ისეთ ტექსტებს აწვდით გასაცნობად, რომელთა სათარგმნელად ჩვენს საოცრად პრაგმატულ და ანგარებიან სამყაროში სხვა მთარგმნელები ძნელად თუ მოიცლიდნენ. თქვენ კი თარგმნით ნიკალაი გოგოლისა და ივან ტურგენევის, ლევ ტოლსტოისა და ალექსანდრ ბლოკის, ნიკოლაი ბერდიაევისა და ვლადიმერ სოლოვიოვის უაღრესად საინტერესო წერილებს რუსულ მწერლობაზე, მწერლის როლზე საზოგადოებაში, თანამედროვე მსოფლიოს სულიერი მდგომარეობაზე, რუსეთის ცოდვებზე...

მართლაც რომ დიდი გატაცებით თარგმნით მიგელ დე უნ-ამუნოს „ძირძველობის არსი“, ალბერ კამიუს „აზროვნების უფლების დასაცავად“, ერეკ ბაზენის „ჯინსების უნიფორმა“, ვერკორის „მე მნამს“, უილიამ კუპერის „მძაფრი შეგრძნებების კერა“, რენდოლფ ბორნის „კულტურა და ჩვენი პროვინციალიზმი“, ეუჯენიო გარენის „ლეონარდო და ვინჩის უნივერსალიზმა“, ენცო ბიაჯის „იმპერიის დასასრული“, ფილის როუზის „ქეთრინ ჰოგარტი და ჩარლზ დიკენსი“...

თქვენს ნაწარებს პასუხისმგებლობის დიდი გრძობის მქონე მთარგმნელის ხელი ატყვია, მთარგმნელისა, რომელსაც სრულად აქვს გასიგრძელებული თავისი მოვალეობა მშობლიური ლიტერატურის წინაშე და ამაში ნებისმიერი ჩვენგანი დარწმუნდება, ვინც კი გაეცნობა თქვენს ისეთ ნიგნებს, როგორცაა ივან ტურგენევის „ჰამლეტი და დონ-კიხოტი“, ლევ ტოლსტოის „ალსარება“, ვლადიმერ სოლოვიოვის „ზნეობა და პოლიტიკა“, „მწერლის სული“, „ექვ ვარ“...

წლების განმავლობაში მუშაობდით ამომცემლობა „განათლების“ ქუთაისის ფილიალის რედაქტორად, ქუთაისის სახელმწიფო არქივის მეცნიერ-მუშაკად, გამომცემლობა „განათლების“ რედაქტორად, უურნალ „რანი ვართ ქართველებს“ მთავარ რედაქტორად, გამომცემლობა „ჯანსუღ ღვინჯილიას“ დირექტორად. გამომცემლობა ვახსენეთ და ყველას კარგად მოეხსენება, რომ თქვენ არამარტო კოლეგა ბრძანდებით ჩვენი, არამედ რძალიც — დიდებული ქართველი მწერლის ჯანსუღ ღვინჯილიას ქვრივი. კარგად გვახსოვს ისიც, რომ ჯანსუღის ვაჟკაცურად აღსრულების შემდეგ ფეხზე მართლაც რკინის ქალამნები ჩაიცვით და ისე შესძელით თქვენი სახელოვანი მეუღლის ხუთტომეულის გამოცემა...

სათნოებით, სიკეთით, კდემამოსილებით, საქვეყნო საქმეების ერთგულებით მართლაც რომ გამორჩეული ქალბატონი ხართ.

ჩვენო ნანი! კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას. დიდ ქართველ ბანოვანთა ტრადიციების გამგრძელებელს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ჯემალ ჭელიძე — 80

80 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჯემალ შალვას ძე ჭელიძე.

ქვირფასო ჯემალ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

ან უკვე შორეულ 1957 წელს გაზეთ „სტალინის დროში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „ილიას წყაროსთან საგურამოში“ და მას შემდეგ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევით. თქვენი ნაწარმოებები — ლექსები, ლიტერატურული წერილები, რეცენზიები, მხატვრული თარგმანები პერიოდულად ქვეყნდება ჩენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამომდის ცალკე ნიგნებად.

დაიხ, მრავალფეროვანია თქვენი შემოქმედებითი ინტერესების სფერო, მაგრამ ქართველი მკითხველი თქვენ, უპირველეს ყოვლისა, გიცნობთ, როგორც მთარგმნელს, რომელმაც ზემდინდებით უსიტად იცის, რა თარგმნოს, რა შემართოს მშობლიურ მწერლობას, პოლონური ენის ჩინებულმა ცოდნამ თქვენ საშუალება მოგცათ ყოფილიყავით მეტად მნიშვნელოვანი პოლონური მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელი და პოპულარიზატორი. ქართველი მკითხველი ხომ სწორედ თქვენი თარგმანებით გაეცნო თ.რუჟევიჩის, ზ.მარხლეცკას, ე.სტავინსკის, ს.მროჟევის ნაწარმოებებს. პოლონური მწერლობის საკვანძო საკითხებს მიეძღვნა თქვენი საკანდიდატო ნაშრომი „ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობანი, XIX საუკუნე“ — ამ მონოგრაფიული გამოცემისთვის ფლოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ნოდება მოგენიჭათ. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში პოლონეთსა და პოლონურ მწერლობაზე გამოქვეყნებული სტატიების უმეტესობა თქვენ გეკუთვნით.

მნიშვნელოვანი წვლილი შეგაქვთ ქართული თეატრების რეპერტუარების გამრავალფეროვნებაში. ქართულ სცენაზე წარმატებით დაიდგა თქვენს მიერ თარგმნილი ბერნარდ შოუს, თადეუშ რუჟევიჩის, პეტერ ვაისის, სლავომირ მროჟევის, მარიან ლანდას, ერნესტ ბრილის და სხვათა პიესები.

თქვენი ლექსები თქვენი პოეტური ნიჭის მშვენიერ გამოვლინებად გვესახება.

ავტორი ბრძანდებით არაერთი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილისა და რეცენზიისა, პერიოდულად რომ ქვეყნდება ლიტერატურულ პერიოდიკაში.

მრავალი წელი გაატარეთ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, როგორც ამ პრესტიჟული დაწესებულების უფროსმა მეცნიერ-მუშაკმა. იყავით საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი და ყველგან დამსახურებული პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდით, ყველგან სიკეთითა და სათნოებით გამოირჩეოდით...

თქვენი მოღვაწეობა დაუფასებელი არ დარჩენილა. მონიჭებული გაქვთ ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ფონდის დახურული კონკურსის პირველი პრემია. დაჯილდოებული ხართ პოლონეთის კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო ნოდებით.

წელთა სიმრავლე ვერარას გაკლებთ; ბოლო წლებშიც ნაყოფიერად მოღვაწეობთ, ლექსების არაერთი ციკლი გამოაქვეყნეთ, რომლებიც პოეტური ძალმოსილებით გამოირჩევა და არაფერი ეტყობა დაძაბუნებისა. თარგმნით დეილ კარნეგის „როგორ შევიძინოთ მეგობრები“... და დოროთი კარნეგის „როგორ დავეხმაროთ ქმარს წარმატების მიღწევაში“. ერთი სიტყვით, თქვენი შემოქმედებითი ცხოვრება წარმატებით გრძელდება.

ჩვენო ჯემალ! კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს სიკეთით და კეთილშობილებით სავსე შემოქმედს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს გისურვებთ თქვენს საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

იაკობ პაპიაშვილი

1958 წელს დავამთავრე ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა (დირექტორი თამარ დახუნდარიძე, დამრიგებელი მარგარიტა დვალი) - ფრიადებზე. იმავე წელს მისაღები გამოცდები ჩავაბარე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თბილისში. ქულები არ მეყო და დავბრუნდი ქუთაისში. მუშაობა დავიწყე მე-4 სამშენებლო ტრესტში - მუშად. მალევე მივიღე დეპუტატი ინსტიტუტიდან, რომ ჩარიცხული ვარ დაუსწრებელზე ქუთაისის ფილიალში, რომელიც შემდეგ გადაკეთდა საღამოს დასწრებულ ფაკულტეტად (რექტორი ბარქაია). როცა სამი კურსი დავხურე, მე-4 ტრესტის ლიმიტით გადამიყვანეს თბილისში და სწავლა გავაგრძელე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დღის დასწრებულზე; ჩამრიცხეს მე-2 კურსზე. ფიზიკურ მომზადებას გავდიოდით ინსტიტუტის დიდ სპორტულ დარბაზში, სადაც ერთხელ გამოგვიცხადეს, რომ ვისაც სურვილი გვქონდა შეგვეძლო გადავსულიყავით რეგბის (სახელი რაგბი ჩვენში გვიან შემოვიდა) სპორტულ გუნდში „პოლიტექნიკში“, რომლის მწვრთნელი იყო გივი მრელაშვილი. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეს განცხადება თვითონ ბატონმა გივიმ გააკეთა. ასე გავხდით რაგბისტი. თანაგუნდელებიდან კარგად მახსოვს ირაკლი კიზირია, სერგო კეშელავა, თამაზ შერაზადიშვილი (მისი მამა დოცენტი იყო და ისტორიაში ლექციებს გვიკითხავდა). სხვათა შორის თ. შერაზადიშვილი ჩემი თანაკურსელი იყო და ჩემი დაჟინებული რჩევით აღმოჩნდა ინსტიტუტის რაგბისტა გუნდში.

როგორც გადმოცემით არის ცნობილი ეს სპორტი დაიბადა ინგლისის ქალაქ რაგბიში; როცა მე გუნდში ჩამრიცხეს, მას საბჭოთა კავშირის სინამდვილეში ათიოდე წლის ისტორია ქონდა.

1966 წლამდე „პოლიტექნიკში“ ვთამაშობდი, რადგან დიპლომის დაცვის შემდეგ, სამუშაოდ გამანაწილეს ქუთაისის მე-4 სამშენებლო ტრესტში ინჟინრად. ვინაიდან რაგბი არც ქუთაისში და არც დასავლეთ საქართველოში ცნობილი არ იყო, გადავწყვიტე მისი პოპულარიზაცია: სამსახურის შემდეგ მივიღო „დინამოს“ სტადიონზე და რაგბის ბურთს მარტო ვკენწლავდი. იმ ხანებში ფინანსურად მამა მეხმარებოდა, რომელმაც ქუთაისში მძლავრი საგალანტერიო წარმოება-კომბინატი ჩამოაყალიბა და შექმნა (დირექტორი ლექსო კვიციანიძე, მთავარი ინჟინერი მიხეილ-მიშა პაპიაშვილი), სადაც დასაქმებული იყო ათასზე მეტი ქალი და კაცი. თავდაპირველად მამა მთავარი მოდელიორი იყო.

ეს იყო 1966 წლის ზაფხულში, „დინამოს“ სტადიონზე. მინდორზე გასვლას რომ ვაპირებდი, რკინის მოაჯირთან მომიახლოვდა ნაცნობი თბილისელი მორაგბე გოგი ყუფარაძე, რომელსაც კარგად ვიცნობდი. იგი სასურველ-სამეურნეო ინსტიტუტის „სასოფლოს“ გუნდში თამაშობდა, რომელსაც ჩვენი გუნდი „პოლიტექნიკი“ თბილისის ჩემპიონატებში ხშირად ვხვდებოდით. როცა ერთმანეთი მოვიკითხეთ, შევთავაზე ჩაგვეტარებინა რაგბის საჩვენებელი თამაში. მან გაიღიმა და მითხრა: „ორმა რომ ვითამაშოთ სირცხვილიაო“. ერთი სიტყვით,

მე იგი ძალით გავიყვანე მინდორზე და ქუთაისელმა ახალგაზრდებმა პირველად დაინახეს რაგბის ელემენტარული წესები: ბურთის წაღება, გადანოდება, დარტყმა, დამინება, შერკინება. როცა დავილაღეთ და ბალახებში ჩავიმუხლეთ, აღმოვჩინეთ მომავალი ქუთაისელი რაგბისტების რკალში. მე ყველას ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ გავიხსენებ ზოგიერთ მათგანს: შ. ქურციკიძე, „ბუკური“ (მეტსახელი) - იგი მასწავლებელი იყო, რ სვანიძე, ზ. ცერცვაძე, ნ. ფურცხვანიძე, შ. ბიტკაშა, ო. მიქელთაძე (მოჭიდავე)...

გ. ყუფარაძე თბილისიდან იშვიათად ჩამოდიოდა და ახალგაზრდებს მე ვუხსნიდი და ვასწავლიდი რაგბის თამაშის წესებს. ყოველდღე, სამსახურის შემდეგ „დინამოს“ სტადიონს მივამუშრებდი. შევექმენი ორი გუნდი და ერთმანეთს ვეჯიბებოდით, 1966-1968 წლებში ჩამოვყალიბე ქუთაისის რაგბის პირველი ფედერაცია, მასში შევიდნენ: იაკობ პაპიაშვილი (ინჟინერი), ბოგდან ზაუტაშვილი (მე-4 ტრესტის მთავარი ინჟინერი), ამირან კირტავა (მე-9 სამშენებლო სამმართველოს უფროსი) და გოგი ყუფარაძე. და ამ ოთხეულმა, ჩემი ხარჯით, აღვნიშნეთ ქუთაისში რაგბის დაბადება რესტორან „იმერეთში“ (მამინდელი „ნულუკიდის ბაღის“ წინ), ამავედროულად მე-4 ტრესტს (ბიბილ-

გრცელ აივანზე, რომელიც ახლაც რიონს გადაჰყურებს. იმ განუმეორებელ წამებს, წუთებს, საათს ვზეიმობდით ორმოცდაათამდე ადამიანი, მათ შორის იყვნენ ოცდაათი მორაგბე და გოგი ყუფარაძე. სუფრა საზეიმოდ მოამზადეს: დედაჩემმა მარიამმა და ჩემმა მეუღლემ თამარმა.

გავიმეორებ: ეს იყო 1967 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. როგორც ვალაკტიონი ბრძანებს - „დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს - ეს საუკუნე, დღე და საათი“.

იმ ისტორიული თამაშის შემდეგ, ჩვენი გუნდის მეურვეობა იკისრა ქუთაისის სახლმშენებელმა კომბინატმა (დირექტორი რომან ბეჟუაშვილი, მთავარი ინჟინერი თამაზ ახვლედიანი). შესაბამისად, გუნდმა მიიღო ახალი სახელწოდება „სახლმშენი“, რომელიც „აიას“ საბაზო გუნდად იქცა. გუნდის მწვრთნელობა დაეკისრა ჯერ შაკო ქურციკიძეს, ხოლო შემდგომ დუგლას კავთელაშვილს. ამ პერიოდში „სახლმშენმა“ სამჯერ მოიპოვა სსრკ ჩემპიონის ტიტული და ორჯერ თასი.

70-იანი წლების დასაწყისში მე სერიოზულ ლიტერატურულ მუშაობას შევუდექი და სპორტს დავმორდი.

1993 წლის ზაფხულის პერიოდში დამიკავშირდა შაკო ქურციკიძე და მთხოვა, ერთიანი ძალებით აღვვინიშ-

რაგბის დაბადება ქუთაისში (მობონება)

დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს - ეს საუკუნე, დღე და საათი ვალაკტიონ ტაბიძე

ნა ქუთაისში რაგბის დაბადების 25 წლისთავი. მე უარს როგორ ვიტყოდი და ამ გასაოცარ იუბილეს ბრწყინვალედ გავართვით თავი. მინდა დიდი პატივისცემით მოვიხსენოთ ის ადამიანები, რომლებმაც ამ იუბილესათვის მზადების დროს ფინანსური დახმარება აღმოგვიჩინეს: თამაზ ახვლედიანი - სახლმშენებელი კომბინატის დირექტორი (3000 მანეთი), თამაზ ბერეკაშვილი - მე-4 სამშენებლო ტრესტის მმართველი (2500 მანეთი), მე-9 სამშენებლო სამმართველოს უფროსი (გვარი აღარ მახსოვს - 2000 მანეთი). ეს თანხები გადაირიცხა შ. ქურციკიძის სამსახურის სპორტულ ანგარიშზე.

ამხანაგური შეხვედრა გავმართეთ თბილისის „დინამოსთან“. მე კვლავ შევხვდი ჩემს „პოლიტექნიკელ“ თანაგუნდელებს ირაკლი კიზირიას და სერგო კეშელავას.

საზეიმო ცერემონიალის დროს შ. ქურციკიძემ გადმომცა საპატიო სიგელი, როგორც ქ. ქუთაისის პირველ რაგბისტს - ქალაქის რაგბის ჩამოყალიბების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, აგრეთვე ფასიანი საჩუქარი წარწერით, რაც ქუთაისში, ჩემს სახლში ტ. ტაბიძის 17-19 უნდა იმყოფებოდეს. სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცა აგრეთვე საიუბილეო თამაშის ყველა მონაწილეს.

ამხანაგური შეხვედრის შემდეგ საიუბილეო საღამო აღინიშნა ქუთაისის

მინის ტარის ქარხნის, წინ არსებულ დიდ საბანკეტო დარბაზში. ესწრებოდა 200-ზე მეტი კაცი, მათ შორის იყო ქ. ქუთაისის ლენინის რაიკომის მეორე მდივანი, ქ. ქუთაისის სპორტკომიტეტის წარმომადგენლები. ჩემს გვერდით ისხდნენ, მარცხნივ - თამაზ ახვლედიანი, მარჯვნივ - ირაკლი კიზირია და სერგო კეშელავა. თბილისის „დინამოს“ მორაგბეებს საჩუქრად გადავეცი ჩემი ახლადგამოცემული წიგნი „ქართული ლეგენდა“.

მთხოვეს შესავალი სიტყვა მეთქვა და მე აღვნიშნე, რაც ზემოთ მოგახსენეთ, თან დავძინე: „გოგი ყუფარაძე ქუთაისში არავის იცნობდა, როცა „დინამოს“ სტადიონზე შევხვდით. მითხრა - „სირცხვილია, მინდორზე ორი კაცის გასვლა სათამაშოდო“. ესეც არ იყოს, მასთან შეხვედრამდე ქალაქის სპორტკომიტეტი „ავატალახე“; ეს დაწესებულება მაშინ ძველი მწერალთა კავშირის შენობაში იმყოფებოდა, გრიშაშვილის ქუჩაზე, მე-3 სართულზე. გაცემული შემომყურებდნენ, ვერ და ვერ გაითვითცნობიერეს ამ ახალი სპორტის მნიშვნელობა, მისი მომავალი... მაგრამ კარგია რომ მე და გოგი ყუფარაძე 1966 წელს „დინამოს“ სტადიონზე შევხვდით და ეს საშვილთაშვილო საქმე დავათავიანეთ. ჩვენი შეხვედრა ალბათ შთამომავლობას გადაეცემა ძალიან ცნობილი შემდეგი პოეტური სტრიქონით: „და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა ან ძენნი შენი“. ჩემი სიტყვების ბოლოს კი ვთქვი: „მე ვიცოდი, რომ აქ, მრავალათასწლოვან ქალაქში, დაგროვილი იყო დიდი ისტორიული ძალისხმევა და მე ამ ნიაღვარს მივეცი კეთილშობილური სპორტული მდინარეა ყველასათვის სასურველ კალაპოტში, რისთვისაც მადლობელი ვარ განგების.“

დასასრულს, ყველა მოთამაშემ ხელი მოვანერეთ რაგბის ბურთს - დაცული იქნება ქუთაისის სპორტულ მუზეუმში. თამაშის მსვლელობა გაშუქდა გაზეთ „ქუთაისში“. სტატიას ხელს აწერს პოეტი ნანული ცხვედიანი, რედაქტორები: თენგიზ წინწონავა, ბეჟან ნამიჭიშვილი.

იაკობ (სლავა) პაპიაშვილი საქართველოს და ისრაელის მწერალთა კავშირების წევრი ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი აპრილი, 2018 ბათ-იამი


მეგობარო! დიდი სიამოვნებით მივიღე შენი წიგნი. უდიდესი სიხარული განვიცადე: გამახსნდა ახალგაზრდობა და რაგბის პირველი ნაბიჯები საქართველოში. ნავიკითხე თქვენი მოგონება, სადაც ქუთაისის რაგბის პირველი დღიდან ჩაუყარეთ საფუძველი. ეს არის საქართველოს რაგბის განვითარების ერთ-ერთი ამაღლებული ფურცელი. საქართველოს ვეტერან რაგბისტთა სახელით გითვლი დიდ მოკითხვას. თქვენი დამსახურება უნდა აისახოს საქართველოს რაგბის განვითარების ისტორიაში.

გულთბილად გელოდებით თბილისში.

ირაკლი კიზირია XX საუკუნის მორაგბე.

თამარ გოგოლაძე

ისტორიული რომანი 21-ე საუკუნეში არსებითად განსხვავდება ორი საუკუნის წინანდელ ქმნილებათაგან. აქ მხოლოდ „ისტორიულ ლურსმანზე“



თავნელის, სარკოფაგზე აგებული სამთავისის ტაძრის ისტორიაც.

ტაძარი არ იგებოდა მარტივად, ნაუცბათევად - ეს ლაიტმოტივად გასდევს მთელ ტრილოგიას, რომელიც შემდეგი წიგნებისაგან შედგება: „ათასწლეულთა მიჯნა“, „მამანი“, „ქესანეს სიყვარული“. მთელი ტრილოგია კი ფიქრია, განსჯაა, რა არის მიზანი ღმერთთან მიხლევისა, როგორ, რა საშუალებით უნდა მიაღწევიდეს მართლმადიდებელი ამას და რაზე გადის ღვთის ტაძრის მთავარი ღერძი...

შამადავლე ზევდგინძე აქ მთავარი გმირიცაა და შუამავალიც უმაღლესი მართლმადიდებელი ხელმწიფის ოცნება-ჩანაფიქრსა და ოსტატის მიერ ტაძრის ხორცშესხმასთან... მკითხველის თვალწინ ჩაივლის მისი ყრობა, ჭაბუკობა, სიჭარმაგე-სიბერე... ბრძოლებში

ხელოვნებათმცოდნემ, ამაზე შეიძლება კვლევა, ჩაღრმავება უფრო და უფრო შორს მიმავალ ფენებში, სადაც ქართული ბუნების მშვენიერებაც კამკამებს წელიწადის სხვადასხვა დროს, ისტორიული პიროვნებანიც, პერსონაჟთა, თუ თავად ავტორის კუთხით წარმოჩენილი სიცოცხლის წყურვილი და ერის გამთლიანების სურვილიც.

ავტორი ერთგვარი მემატიანია. იგი არ ერიდება გაიმეოროს უკვე ნათქვამი ისტორიული ანალებიდან თუ მხატვრული ტექსტებიდან, მაგრამ ამას ყოველივე ახვევს მხოლოდ მისეულ საბურველში, რომლის ფენაფენა „შემოქარცვის“ შემდეგ რჩება მშვენიერი, იდეალური, იქნებ - რომანტიკულიც.

სატრფიალო ეპიზოდებს ტრილოგიის დასაწყისში გაკვრით ჩართავს რომანში, მესამე ნაწილი კი გასაოცარი

აძლევს რჩევებს სამთავისის ტაძრის ხუროთმოძღვარს...

საკვლევი, ფრიად საკვლევი ლიტერატურათმცოდნისათვის რეცენზიის ფარგლებში მიმოხლივით წარმოდგენილი...

„ესე ტაძარი“ საგალობელია ერთგვარი, რომელიც ავტორმა, თავად ძირძველი გვარის წარმომადგენელმა, ალუვლინა სამთავისის უმშვენიერეს ტაძარს და რომლის ანალოგადაც ქაშუეთის ტაძარი აიგო თბილისში...

„ზურმუხტისფერი, ჯუარამოკვეთილი მოჭიქული კრამიტით გადახურა მუხარმა გუმბათის კარავი. ნაირფერადოვან ქუათა პერანგით შემოსა კედელი ტაძრისა. მქრქალი შინდის, ბაცი ატენური ღვინის მნიფობასა შესული მტევნებისა და უნაზესი ისრიმის, კომშისა და წეროთა ბუმბულის, უბაცესი ცის მინაგვანი ფერებით მრავალხმოვნად, ვითა სიმღერა ქართული, ამღერდა ამალღების ტაძარი და ყოველნი ფერნი ისი განაზაუა ხუროთმოძღვარმა ერთმანეთსა შინა, რომ ბენუის ოდე-ნათაც არ დაირღუა ერთიან მთლიანობა უფლის სახლისა“ (გვ. 839).

მძიმეა ცხოვრება, ტკივილიანი ცხოვრება ქართლისა, რომელიც ავტორმა მიუძღვნა 22 წლის ტრაგიკულად დაღუპული შვილის, ანას, ხსოვნას. წიგნის რედაქტორია თინათინ ლალიძე.

დასასრულს „ბოლოთქმის“ სტრიქონებს ავტორი ლექსით აგვირგვინებს:

„უამი დათვლის ათას ნელს მერეც, აღარ დარჩება ხსოვნა არვისი. ქართველი ერის უკვდავ დიდებად, კვლავაც იდგება ქართლს სამთვისი!“

და კიდევ ერთი. ავტორი წიგნს ურთავს ზოგიერთ სიტყვათა განმარტებათა მცირე ლექსიკონს.

ხსოვნა გადადის გენეტიკურ კოდში, რისი დასტურიცაა ბესარიონ სოლოღაშვილის „ესე ტაძარი“.

ისტორიული ტრილოგია

„ახალი დროის მემატიანისა“

გამოქანდაკდა შამადავლეს სხეული, რომელსაც ილარიონ ყანჩაელი უყვება ქართლის გაქრისტიანების ისტორიას, ცამეტ ასურელ მამათა ღვანლს, გრიგოლ ხანძთელის, როგორც ტაოში ტაძართა აღმშენებლის, ქართველ მეფეთა როლსაც, მათ მონამეობრივ თავდადებას საქართველოს გაერთიანებისა და მართლმადიდებლობის განტკიცებისათვის, სატაძრო ხუროთმოძღვრების ანბანს და ყოველივე ეს იშლება ტაძრის აგების მსურველთა, ამგებთა და მათი ყოფითი ცხოვრების ფონზე.

უამრავი კითხვა ებადება მკითხველს, რაზეც პასუხობს ტრილოგია. მაგრამ როგორ უნდა აღიქვას იგი ლიტერატურათმცოდნემ, იქნებ ისტორიკოსმაც,

სიმღერაა სიყვარულის, რომელიც წმინდა და ამალღებულ ხელოვნებას შობს...

ყოველივე ეს კი ვითარდება უზარმაზარ, სხვადასხვა სახის ინფორმაციასთან ერთად ავტორის მიერ შერჩეული უცნაური სტილითა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ენით. ეს არაა ძველი ქართული ენა, არც თანამედროვე, ეს მხოლოდ ბესო სოლოღაშვილის რომანის ენაა, რომელსაც უნდა შეეყვანა მკითხველი თითქმის 9 საუკუნის წინანდელ ეპოქაში. ამაზე თავისი დროისათვის იზრუნა კონსტანტინე გამსახურდიამ, რომლის გმირიც, არსუკიძეც, წარმოჩინდება ტრილოგიაში, მაგრამ უფრო ხალხური ლეგენდიდან გადმოსული, მარჯვენამოკვეთილი, რომელიც

ია ჯღარკავა

ილია მორკას

ეს ქვეყანა - ღვთის სავანე - მასპინძლობდა წმინდა ნინოს, აქ პურს ქრისტეს ხორცი ჰქვია, სისხლს ქრისტესას ჰქვია ღვინო; აქ, მცხეთასთან, მაყვლოვანში, ცვეტიცხოვლის ცოცხლობს ფესვი, გულზე ჯვარი გვასვენია, სარჩოს ვიმკით ხვნით და თესვით; პურს მოვკით თუ რვალს გავაღლობთ, მტერ-მოყვარეს გავცემთ პასუხს; მამაპაპურ ძველ მარანში ტერფი წურავს ალადასტურს! ბნელ სენაკში, ნათელ გონით, ბრძენი დანერს დასტურლამალს, ხარ ნიკორას კვალს შევუქვებთ, მშვილდს გაუზრდით ისარს ფრთამალს! სვეტიცხოვლის გაღავანზე ამაყად გადას ვახტანგ მეფე, გვერდს ერეკლე მოსგომია, თმა უბრწყინავს ლომკაცს ღმერთებრ! იქვე, ახლოს, კოლხურ ღიმით, დუღაბს ურევს არსაკიძე, მკლავეზე ჩრდილი მისდგომია, ჩაუხსნია მკერდს საკინძე!

ჩვენ კრწანისის შვილები ვართ! ჩვენ დიდგორი ვშვიტ! ჰო, შესდექ! აქ, ბინდბუნდის ნაჟურებში, ჩაინურა მელქისედეკ! ამ მიწაზე, ივირონში, ეპოქამ შვა კირიონი, ბერ მანყვერელს მოუხარშავს ტაო-კლარჯეთში მირონი! საქართველო სამშობლოა კათალიკოს ამბროსისი, შუშანიკის, ევსტათისი, გობრონის და ჰაბოისი! ცას ჭექ-ჭექით გადაუვლის ღირსი მამის ნაქუხარი: „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, ხორცს, რაც გინდათ, ის უყავით!“ მელქისედეკ! ჰოი, კირიონ! მამა ამბროს! ყველანმინდავ! თქვენს ფესვებზე საართველოს მზეი ისევე ამობრწყინდა: მზე ილია, მზე ილია ჩითილია დიდებისა, ღვთის ხატია, იმედია ხვალინდელი ღამე-ღლისა!

ლურჯი ყვავილი

„...დიდხანს მესმოდა ყორნის ჩხავილი. შემდეგ, როდესაც წახვედი ჩემგან, მიდიოდი და მიგქონდა სევდა - ჩემგან მოძღვნილი ლურჯი ყვავილი;

თვალს მიეფარე - ვიფიქრე, მორჩა, დღე დაღამდა და აღარ ინათებს. თან წარიტანე ვნება-სინათლე. მზე ჩავიდა და მთვარე გამოჩნდა; ვიდექი დიდხანს. არ ვიცი, რატომ, მივლასლასებდი დათოვლილ გზაზე. შენ ჩემი გული ისე ჩარაზე, შეგ მზე ვერ აღწევს - სითბოც არ მოდის! თეთრი თოვლივით მადნება სული. რა ვქნა, მე ველარ დაგედევნები, ვიცი, რომ მაინც გზად დაგებნევი - ბედი ურჩია და თავგასული; მერჩია თავზე ყორნის ჩხავილი, ვიდრე ის, მაშინ რაც დავინახე - უმაღ დამეცა თავზარი, რადგან ვერცხლისფერ თოვლზე ეგდო ყვავილი!

ილია მორკას

კაცი სანდო, მართლისმთქმელი, ასჯერ ზომავს, ერთხელ ჭრისო; თავს ღვთიური ნიმიბი მოსავს ოქროცურვილ ღრუბელისო; ლექსს იტყვის თუ საგალობელს, იქაც უფლობს გულისძგერა; კვლავ ჭენაობს სტრიქონებში: „ორ ზღვას შუა, ძველისძველად...“ საქართველოს მთა-ზღვა-ველი დასალაშქრი არის ძნელად!

პური ღვთისა, სიტყვა ღვთისა, ალავერდზე წწული მზისა, ტიმპანს მზეი ჩაქსოვია, „რიკულს“ - შარმი სადაფისა; ივერიას, მისი ლოცვით, ავერცხლნარებს ფუნჯი დასთა, რუდუნებით იხატება ქართლი - ნინო თხოთის მთასთან, ივირონი, ოშკი, ტბეთი, სიონი და უბე, ხანძთა! სიონს ახსოვს მაღლი უფლის - ამბროსის და კირიონის; ქვათხვეში გუმბათს დასდის აღმურება იმ მირონის, რკინის ხელით რომ ხაპავდა თემურ-ლენგის მხედრიონი! ვიცით, ვისი გორისა ვართ - ერთხელ კვენესა გემართებს ომში; ლექსსაც ლოცვის ფასი აძევს ოპიზრების საუფლოში! (ილიას ხმა სივრცეს აპობს, (სამებაში რეკავს მნათე, ასხმა ზართა ელვას ანთებს). ისიც გზაა, გზაი ღვთისკენ, ლუსკუმიან ჯვარის მცველი; იგი ხმაა, სიტყვა ღვთისა, ასგზის ტაძართმშენებელი!

ლიბრეტო უდაბნოსათვის? არა - კაცობრიობისათვის

„თავისუფალია ის, ვისაც შეუძლია არ იცრუოს“ - წერს ალბერ კამიუ.

ვკითხულობ სონა ვანის ახალ პოეტურ კრებულს - „ლიბრეტო უდაბნოსათვის“ და მაოცებს პოეტი ქალბატონის სულისშემძვრელი, ტკივილიანი სიმართლე, „ღალადისი უდაბნოსა შინა“. როცა სამყარო ასეთი მშფოთვარეა, როცა უდაბურდება სამოთხის ბაღი, როცა ომი და კაცთაკვლა თითქმის ცხოვრებისეულ ნორმად იქცა, როცა უფლისადმი რწმენა ფულისადმი გიჟურმა თავყვანისცემამ შეცვალა, როცა ეკრანს მიჯაჭვულ ადამიანებს რეკლამები უფრო იტაცებთ, ვიდრე ომსა და ადამიანთა დაუნდობელ ქმედებაზე სულისშემძვრელი ინფორმაციები, ვის შეუძლია გაიგოს სონა ვანის ღალადისი?

ომი და პოეტი ქალი - აი, ამ მშვენიერი კრებულის ლაიტმოტივი. ქალი, რომელსაც თითქოს ლექსები ფრთებად ქცევია და ცდილობს ასე ფრთებგაშლილი გადაეფაროს სამყაროსადმი მიმართულ ავ თვალს. ცდილობს საკუთარი მკერდი ტყვიას მიუშვიროს და ასე გადაარჩინოს დედამიწის მშფოთვარე გული.

როგორც ჩვენი დიდი წინაპარი ბრძანებდა - „ღმერთთან იმიტომ საუბრობს“, რომ გულგრილი კაცობრიობა გამოაფხიზლოს. ვინ-ვინ და ამერიკაში მცხოვრებმა სომეხმა პოეტმა ქალმა კარგად იცის ომის საშინელება და გენოციდის უცოდველ მსხვერპლთა ტრაგედია. დიდი და გმირული ისტორიული წარსულის მქონე სომეხ ერს ხომ სისხლში აქვს მშვიდობის დაუოკებელი სიყვარული. მე მხიბლავს სონა ვანის სიზმარ-ცხადის, სიბრძნე-სიგიჟის ზღვარზე მოქანავე ლექსები, მხიბლავს მისი სიბრძნე-სიცრუისა და სიტკბო-ტკივილისა, მხიბლავს მისი თავგანწირვა და ლექსებით გოდება-შეძახილი, ლექსები, რომლებიც ტკივილის, სიმართლისა და ნიჭიერების ძაფითაა ნაგვირისტები. დიახ, სონა ვანის ეს მშვენიერი კრებული მსოფლიოს მრავალ ენაზე უნდა ითარგმნოს, იმასაც ვინატრებდი, ითარგმნოს ისეთ მაღალ პროფესიულ დონეზე, როგორსაც ამას გივი შაჰნაზარი აკეთებს, ლექსებს კი არ თარგმნის, გულის გულში ატარებს, ქართული სისხლით კვებავს, ენის გასაოცარ პერანგს უქსოვს და ახლიდან ბადებს.

წიგნი მისთვის ჩვეულ მაღალ პროფესიულ დონეზე გააფორმა მხატვარმა გოგი წერეთელმა.

სამი ჭეშმარიტი ხელოვანის- პოეტის, მთარგმნელისა და მხატვრის ასეთი შეხვედრა წიგნის დიდი წარმატების თავწყაროა.

მაცვალა გონაშვილი



მარადიული ვარ ობობა რვაფეხიანი

გაბმული ჩემი ფანჯარიდან მონიტორამდე ასე ნამდვილ და ვირტუალურ სიკვდილებს შორის ამ აზრგამოცლილ დროებაში მყოფი ობობა

აქ ყველაფერი კარგად მოჩანს ჩემი ცენტრიდან

აი გაიხსნა ოდნავ კვირტი - ბარტყის ნისარტი - ძველი

ნაცნობი მელოდით ამღერდა ჩიტი ეკრანზე დედამ ჩვილი შობა და - იქვე კადრი - კვირტის გახსნამდე ბომბზე ჯარისკაცი აფეთქდა

ჯერ შუქი კრთის და მერე ხმა ჟღერს (შეუცვლელია ბუნების წესი - სამწუხაროდ სინდისის - არა) შუქი ხმა მტვერი და მიყრილი ფეხსაცმელები...

იკივლებს დედა და ეცემა მოცელილივით დედამინა ხომ მინისქვეშა მუზეუმი

ა ჯარისკაცი დაღუპვიდან ოთხას წლის შემდეგ ეს კი სულ რაღაც მხოლოდ ოთხი საათის უკან

სუყველაფერი მეორდება ზუსტად ისევე... მაშასადამე - სადღაც რაღაც არის ტყუილი...

მარადიული შაოსანი მგლოვიარე ვარ ნუ გაიკვირვებთ - ოთხი შავი თავსაბურავით

პაპა თურქმა და მამა გერმანელმა მომიკლა ვაჟი - აზერმა ხოლო ქალიშვილმა შვა ბიჭი

მოკლეს მომიკლეს მომიკლეს მოკლეს

და... ისტორია მეორდება ზუსტად ისევე - კვლავაც ბარაბას არჩევანის ჟამი დამდგარა!

მე ოთხხმიანი „კაპელა“ ვარ მარად მგლოვარი ხავერდოვანი ვარ ქალწულის მეცო-სოპრანო მე ტენორი ვარ ლირიკული ჩვენი პატარძლის მოკრძალებული ბარიტონი ვარ ქვრივი ქალის კატარაქტიან ბებოს ხრინინიანი ბასი ვარ

მარადიული ვარ რვაფეხა არარაობა

მოილოგინა ბებოჩემმა და ვაჟი შობა მოილოგინა დედაჩემმა და ვაჟი შობა მოვილოგინე მეც და ვაჟი მეყოლა ისევ

მოილოგინა ქალიშვილმაც და შობა ვაჟი

ჩვენი ბიჭები მოძრაობას ფორთხვით ინყებენ ცდილობენ ფეხზე წამოდგომას და ეცემიან

ოკეანეებს თვითმკვლელები სჭირდება მუდამ

მარადიული მოცეკვავე ვარ დრო-ჟამისა

კაბარეს იგივე ოთხეულის ვარ მოცეკვავე რვაფეხიანთა ერთი რგოლი იგივე ჯაჭვის სიკვდილის ცეკვაც იგივეა გახელებული ცეცხლსასროლებით გაჩაღებულ სინათლის ფონზე

ბებო მარცხენა ფეხს ირიბად მოიკეცავს და თვალეები მარჯვნივ გაქცევია... და ვიმეორებთ

ჩვენს უნებურად ჩვენც იგივეს მიბაძვით არა დედაც მეც ჩემი ქალიშვილიც ნებსით იგივეს (ამ პლაგიატი მუხლებსა არაფერი მწამს!)

მე ვარ ქალმერთი ომის ტანზე მეტალის ბრწყინვის მაცვია კაბა - კამუფლაჟი - სისხლში მოთხვრილი ბომბები მკერდში ძუძუების ნაცვლად მინყვია დრო მკერდზე მცემს და „მცვივა“ დაბლა მოწყვეტილივით...

მე კი ვიქნები მუდამ... მაგრამ მთავარი სხვაა

მე მწუხარების მსურს ოთხივე ამინდი თუმცა აქ მთელი წელი გაგანია ზაფხული როა?!

და გაზაფხული შენიღბული ვით კამუფლიაჟი ეს სურნელმფშვენი მოძალადე როგორც მსტოვარი იპყრობს და იპყრობს სივრცეებს და იმკვიდრებს საზღვრებს და ჩნდება ასე სისხლისფერი ერთი ყვავილი ომი ომი რომელსაც სისხლის სუნი უდის ყოველთვის

როგორც მეტალის ფიგურები ჭადრაკის დაფის ებრძვიან ერთურთს ბიჭები და ენიერებიან მათი სამანი ასფალტზეა ხოლო მინის ქვეშ მტრის ჯარისკაცთა ძვლები ერთურთს ჩახუტებიან

გაზაფხულია... სუნი იკრა სივრცემ თავგების სალხინო სუფრის ირგვლივ ხტიან ამ დროს ვირთხები ჩვენი ცდომილის ეს „უკვდავი თანამგზავრები“ რომლებიც ჩვენთან იქნებიან მანამდე სანამ ჩვენი ბიჭების ვებერთელა გუნდები ჯერაც ჩრდილოეთისკენ მიინევენ ბიზონებივით რათა სტეპებში ჩაიკარგონ და... გადაშენდნენ

დროს მღრღნელებისა ეშინია მხოლოდ და მხოლოდ

ბიკაჩემს - ომის ინვალიდს

...ყოველი ექვსი ნაბიჯის შემდეგ მხედრულ ღირსების საჩვენებლად ხელჯოხს ჰაერში ატრიალებდა ოსტატურად და მერე ისევ იმეორებდა - ექვს ნაბიჯით წინ წაინევიდა

ვერ ელეოდა უფეხოც კი ძვირფას რიტუალს წესად ექცია გამარჯვებულ პოლკის მეთაურს მდინარის ქვემოთ ჩრდილო-აღმოსავლეთის ფრონტის...

P.S.

რუკაზე წამში ნებისმიერ დროს გიჩვენებდა წერტილს... მარცხენა ფეხი სადაც დატოვა ომში...

გერონტი მესხი

ზარი

(შვიდი წლის დანყებულნი იყო პირქუში მეოცე საუკუნე, ილია რომ გამოგვაცა-ლა ხელიდან. შვიდი წელი აკლდა მის გასრულებას, ზვიადი რომ მოგვიკლეს...)

ცამ შეისრუტა მორუხო ნისლი და უმალ ბინდმა შთანთქა თვითონაც. სადღაც გრუხუნებს - სატანა ისვრის, თოფიც ეშმაკმა გამოიგონა. ადამის ჯიშმა გასწირა ღმერთი - ღვთის ძე, რომელიც მათთვის აენტო. არც ჩვენ დავზოგეთ და არა ერთი, ვისაც ქრისტესთან ჰქონდა საერთო. ეშმაგ დასჭეკა „ბერდენკის“ ლულით და წინამურთან დგამენ ობელისკს. ზეცად გაფრინდა მბრწყინავი სული, მოკაშკაშე და ჩაუქრობელი. ძველ ხიბულაშიც გავარდა ტყვია ხმაურით, ოღონდ მაინც ფაქიზად... მოკვდა ღმერთკაცი... და ერთიც კია: ამ ხმამ ვერავინ გამოაფხიზლა. შორიდან რეკავს სამრეკლოს ზარი, რეკავს და თითქოს, მკრთალდება ბნელი... შენც საზიდი გაქვს კუთვნილი ჯვარი, შენც საკუთარი გოლგოთა გელის...

მინაწერი მოგვიანებით:

2093 წელი, შვიდი წელი საუკუნის ბოლომდე: - ვინ იქნება შემდეგი? 2007 წელი. შვიდი წელი ახალი საუკუნედან: მუხ-ანათურად გამოასალმეს სიცოცხლეს დიდი ქა-რთველი პატრიოტი მწერალი და საზოგადო მოღ-ვაწე, პროფესორი გურამ შარაძე.

ლამაზი ქალი

საიდუმლოს, გადანახულს ხვალისათვის, ნამში გასცემს მისი მზერა ფარული, სილამაზე სიმდიდრეა ქალისთვის, მზითვია, სკივრში გადამალული. ვნების მტვერი მოგაფრქვია თუ ქარმა და ღიმილი შეგაყინა ბაგეზე, სილამაზე, იტყვი, შექმნა უფალმა, ფიქრიც, მზერაც მის მხარეს რომ გაგექცეს. და თუ სუნთქვაც ავიჩქარა მშვენებამ, ჯადოსნური ხელით როა ნაქარგი,

ყველა ქალი შენად მოგეჩვენება, შეგაშფოთებს შიში მათი დაკარგვის. სილამაზე დღე მზეს ჩრდილავს, ღამე - ცას, გულს, უსისხლოს, გესლით უვსებს შურიანს. ...თვალს, თუ კვლავ სხვა ლამაზისკენ გაგექცა,

ნუ დასძრახავ, წყალი თვალსაც სწყურია!..

ჯეციური ანდამატი

იმ სადაგ დღესაც ზღვა იყო ლურჯი, მზე იყო მწველი და ერთადერთი. მიქელანჯელოს ნაქონი ფუნჯით მითიურ სურათს ხატავდა ღმერთი. უსასრულო და უღრუბლო ზეცას ეჯობებოდა ხასხასში მოლი. ქედებს პალიტრის ქათიბი ეცვათ და ის ცა ეპყრათ მელოტი ზოლით. მზეზე კრთებოდა გამა ფერების... გზებზე კვდებოდა ჟამი თარეშით... ახლოვდებოდა დრო მოფერების ღმერთის ნებართვით, თუ მის გარეშე. ჩამოაძვრნა მხატვარმა ტანი, (იდგა დუმილი მზეჩაღვრილ დღეთა) ისე მოარგო ფერი და განი, ვით ნინოს ჯვარი მოერგო მცხეთას. მერე ხელ-ფეხი მოხატა დინჯად და მკერდს შემორჩა ფუნჯი ორ ბორცვად. ღმერთი იდგა და ქალწული იჯდა ჯერ უსახურად და მაინც მორცხვად. მერე თვალ-ნარბთა ვნება და სახე გამოიკვეთა მდგარი ხვატიდან. მერე შთაბერა სული და ვნახე, როგორ გადმოხტი იმ ნახატიდან. გარემოსილი იყავი მქრქალი და მაინც უცხო ფერის სამოსით. დროს, როცა ცხადგყო უფალმა ქალი, ვერ აგვიწერდა ნოსტრადამუსიც. ბიჯი ლივლივით გადადგი მოლზე ისე ფაქიზად, ისე ნარნარად, რომ ვერ გავთვალე სამყარო ორზე - შენ დაფრინავდი, როგორც ფარვანა. ირგვლივ იწვოდა მუხტი და მკრთალი ალი სწვდებოდა ბარე ორს კიდევ... შენ წამიერად წამართვი თვალი, მერე ის თვალი ველარ მოგწყვიტე. ვნებით გინუნდა სიო დალალებს - ო, მინდა, წუთით ის დრო დაბრუნდეს: მე ვთროთოდი, შენ კი ხელი ჩამავლე და შენს სავალზე შემომაბრუნე. მზეობდა მზისებრ მზირალი მზერა, გაკლდა გვირგვინი და ხელში - კვერთხი... მე მაშინ მივხვდი და ახლაც მჯერა, რომ შენს შექმნაში ერია ღმერთი.

ნათია ბაქრაძე

სანდროს

ჩემს შვილს

როგორ მინდა, ერთ დღეს, დილით, ამეხილოს თვალები, დავინახო ჩემი შვილის მომღიმარი თვალები. სახის ნაკვეთებს დაფუკოცნი უნაზესი შეხებით, ჩავიხუტებ გულში მაგრად მთელი ჩემი შეგნებით. გავისხენებ პირველ სიტყვებს, მისი ბავით რომ ითქვა, დედა მინდა, მამა მინდა, პირველად რომ გარითმა. გაფრენილი ღამეები, უძილოდ ნათენები, მის პატარა თათუნებს ალერსით ვეფერები. შვილის ყოლა ბედნიერი დედის საჩუქარია, კარგი შვილი რომ აღზარდოს ყველა დედის ვალია. გამოზარდოს, გამოზარდოს გაუნათოს გონება, ბნელ ჩიხში არ შეიყვანოს ჩვენმა რამ შეცდომებმა. ბედნიერი დედა ვარ და ბედნიერი ვიქნები, სიყვარულში გავეძლიერდი ჩემი შვილის ფიქრებით. გავისხენებ პირველ ლექსებს, პირველ ნაბიჯს გადადგმულს, მიძინებულ თვის სანოლში თამაშისგან დაქანცულს. ყოველ დილით უფალს ვწირავ გულმხურვალე მადლობას, ვუფრთხილდები მისგან მოძღვნილ ჩემთვის ძვირფას საჩუქარს. გაიზარდე დიდი კაცი, დედის დიდი იმედი, იმედია, მეყოლება ბევრი შვილიშვილები.

ია-ია

გადაშლილა ია, ია, რა ლამაზი ყვავილია, ენძელები მის გარშემო გაფანტულა რია-რია. ვარდმა თავი მოიწონა, სიცივისგან დაიზღვია, სილამაზეს უფრთხილდება, მისი თვე ხომ მაისია.

ზამთარი

თეთრი ციდან იფანტება თოვლის თეთრი ფანტელი, სილამაზეს ვერ აუდის მისი თვალთ მნახველი. რა ლამაზად იხატება ირგვლივ ზამთრის სურათი, თეთრ სამოსში შემოსილი ეკლესიის გუმბათი. გაშიშვლებულ ხეს ტოტებზე საპატარძლოდ აცვია, თეთრ სამოსში შემოსილი ზამთრის ამპლუაშია. ფანჯრის მინას ეხატება თოვლის თეთრი ზოლები, აქეთ-იქით იფანტება ფანტელების რგოლები. არემარეს ეფინება თოვლის თეთრი ნაბადი, თეთრად გადათოვლილია მარადმწვანე ნაძვნარი. ტყეში მიძინებულია ზამთრის ძილით ბელები, თოვლის მიღმა თავს იჩენენ პატარა ენძელები. ზამთრის დრომაც ჩაიარა გამოფხიზლდა ბუნება, გაიღვიძეს ბელურებმა მოიკეთეს გუნება.

ცოდვილი

ნუ ჩადგები ჩემს ცოდვაში, არ შეგრჩება იცოდე, ჩემი ცოდვით თუ არ გინდა ცეცხლის ალში იწვოდე. ამ ცოდვების საფასური შენი თავის ფასია, ცოდვით სავსე, გათანგული კიდევ ერთი შანსია. ვერ აჯობებ ამ ცხოვრებას მისი კანონ-წესებით და მიწყდება მასთან ბრძოლით ყველა ძარღვის მყესები. ნუ გგონია, რომ შეგრჩება ყველა ის ექსესები, შენსავე ძირს გამოგიოხრის შენი ცოდვის ფესვები. შხამიანი გველივით ნეტავ რად იგესლები, ნუ აავსებ დედამინას მინდაგორას თესლებით. ვითომ ანგელოზი ხარ და ვითომ ფრთები გასხია, მაგ შენს ცოდვილ ტან-სხეულზე ანაფორა გაცვია. იმპულსს გასცემს ჩემი ტვინის ყველა ნეირონები, მე ჩემს გრძნობებს ვეთანხმები, შენ ცოდვებს ემონები.

„მე რუსთაველის სამშობლოდან ვარ“ - ასე აცნობს თავს პოეტი ნანა მეფარიშვილი ოკეანის გაღმელებს.

ეს ჩვენთვისაც მოწოდებაა - არ დავივიწყოთ ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, ვის სახელს ვახსენებთ.

განა მხოლოდ რუსთაველი? - ჩვენ გვყავს ვაჟა, რომლის მიწაც ჩვენი საძვალეა, იმ ჰაერს ვსუნთქავთ, რომელსაც აკაკი სუნთქავდა, ქრისტეს რჯულისთვის მკერდდაშანთული ქეთევანის ხატი დაგვნათის და სააკაძის აჩრდილი წამოგვდგომია.

„ჩემი სამშობლო ვერ ითვლის ასაკს, კაცობრიობის დღეთა შექმნიდან. დიახ, გახლავართ საქართველოდან, გენიოსთა და გამართა ქვეყნიდან.“

ეფერება, ელოლიავება პოეტი საქართველოს ძირძველი მუხის ფესვებს:

„არ შემიტოკვე, არ წამექცე ძირძველო მუხავ,

შენს თითო ფესვზე თითო პაპის ძვალი ჰკიდია.“

ჭრილობების მორჩენასაც პირდება და სურს „ცოდვილი სხეულით“ დაენამლოს მის გახსნილ იარას.

„სამშობლო ამტკიცდა შორი და უჩემო“ - წერს ლექსში „მესროლეთ“ და მზადაა ყველა დაცლილი ვაზნა თავისი ბოლო ტყვიით საკუთარი სხეულით გააციოს, ოღონდ მის მამულს არაფერი ევნოს:

„დაცალეთ ვაზნა და ის ერთი ჩატოვეთ, მე უკვე ვინვნიე ცამეტჯერ სიკვდილი, მესროლეთ, მე გუშინ სამშობლო დავტოვე, ახლა კი უზნოდ ნატვრებში მივტირი.“

უყოყმანოდ გასწირავს სიცოცხლეს, ოღონდ ქართველმა არ ესროლოს ზურგიდან, ღალატით სიკვდილი ხომ სიკვდილზე უარესია.

არც აღსასრულშია უსაშველო ტრაგედია, არც თითოეული ჩვენთაგანის თავგანწირვით დასრულდება რამე, წამება და მკვლელობა ხომ უცხო არაა მაცხოვრის ვერშემცნობელი კაცობრიობისთვის.

ჩვენთვის სამყარო მხოლოდ საქართველოს მზის ჩასვლით აღესრულება. ამიტომაც ნუ აცდება სამშობლოსკენ გამოსროლილი ტყვია ჩვენს გულს. დაე, მკვდარიც ჩაგვქოლონ ჩვენი ცოდვილი სულის გამო, ნურც ცრემლით გაგვაცილებენ, ოღონდ მამული გადავირჩეს:

„არც ცრემლის ღირსი ვარ, არც ვინ გამაცილოთ, მკვდარიც კი ჩამქოლეთ, კვნესა თუ აღმომხდეს, მესროლეთ, ოღონდაც გულს არ ააცილოთ, უკან სამშობლო დგას და იმას არ მოხვდეს.“

ოდითგანვე იცავდა საქართველოს გველუშაპის შემუსვრელი კაბადოკიელი მონამის ხატი, ამიტომაც ატარებს ჩვენთან ყველა მეორე წმინდანის სახელს. ქალბატონი ნანაც გიორგის

მოუხმობს მხსნელად, ქართველთა წიაღში შობილ მომავალ გამირს:

„იმღერე გიორგი, რომ ბოლო ნატვრასაც დაუსკდეს მყესები, იმღერე ქართველო, რას გვარგებს მარტოდენ მდუმარე ლექსები.“

ამ სიმღერამ უნდა გაუთბოს გული მის გაავდრებულ სამშობლოს, მის ემიგრანტებს, რომლებსაც უცხო მიწაზე ჰაერი არყოფნით.

ამ სიმღერამ უნდა გადაფაროს ცოდვილთა ხმები და მიაღწიოს უფლამდე.

არ უნდა გაქრეს და ჩანაცრდეს ღირსება,

არ უნდა გვძლიოს ტკივილმა...

ქართველთა ერთიანობისაკენ მოწოდებაა ლექსი: „ერთად გავიყვანოთ ხნული!“

გაგვიყამირდა მინა, მარილმოსაყრელია მადლი და ამას მხოლოდ ერთად დგომით უნდა ვუსაშველოთ:

„ერთი ცხოვრება რას ეყოფა სიყვარულს ამდენს“

„მოდე ჩემებურო, ერთად ადვილია, კეთილ მარცვალს მოგვეცემს უღვეს... ჩვენი საკეთებლის თესლი ნამდვილია, ლოცვით მოვეფინოთ ხნულებს...“

„გოდება გამირის დედისა“ - ეს მხოლოდ ლექსი არაა, ლექსზე მეტია, სულია ქართველი ქალის, ჩვენი უახლესი ისტორიაა.

წასაკითხადაც კი რთულია შვილმკვდარი დედის გასაუბრება თავის პირმშოსთან...

ეს ის შემთხვევაა, როცა ცრემლი გულში ვერ გეტევა და აღარც დამალვას ცდილობ:

სისხლისა და ხორცის ნაყოფის მოვლინება ამ ქვეყნად. დედობის მადლით დახეთქილი ძარღვები და მამის დაცლილი თოფი. მშობლის ტვირთი და იავნანაში გატეხილი ღამეები...

„მე ახლაც მათბობს ჩემს გულმკერდზე შენი ნაწილი...“

მერე პირველი ნაბიჯები, ერთად დათვლა, ერთად წერა ციცქნა ხელებით...

ბავშვებთან თამაში:

„დაეცემოდი, მუხლებიდან სისხლი გდიოდა, განუგეშებდი, არ შევენისთქო კაცებს ტირილი, არადა გული, იმ დროს ყელში ამომდიოდა, რომ არ გეტირა, მე ვისწავლე სიმწრით ღიმილი.“

დასჭირდა მამულს, დასჭირდა და საშველად უხმო სიმწრით გაზრდილ ვაჟკაცს.

წასვლისას დედის ლოცვა გაიყოლა...

„როცა ნახვედი, გეძახოდი, გესმოდა ნეტა?“

ნამუცლი თმები გიხდებათქო, არ გაიკრიჭო,

ისევ რძე გქონდა ბაგეებზე, მოგიკვდეს დედა,

ტუჩები მაინც გაგენმინდა წასვლამდე ბიჭო.“

არა, ამ სიტყვების მერე ველ-არაფერს დანერ, ვერაფერს იტყვი... უბრალოდ, უნდა ჩამოუარო გამირების საფლავებს და სიტყვა მისცე, რომ სამშობლოს არავის დაუთმო...

მარადიული შეყვარებული - ასეთია ჩემთვის ნანა მეფარიშვილი, ქალი, რომელსაც შეუძლია სიცოცხლე იის კონაში გადაგიცვალოს, „ქალი, ვისაც უყვარს გვირილები,“ თეთრთან თანაზიარი და ახალპირა გაზაფხულივით სხვანაირად ლამაზი.

ქალი, რომ ბედნიერი იყოს, კაცს, კაცობისკენ მოუწოდებს პოეტი: კაცი,

რომ ვიყო, უჩემობას არ გაღირსებდი, იასამნის სურნელებით შემოგიმხსვრევდი ჩაკეტილ სარკმელს, შავთეთრ სამყაროს უთვალავ ფერში გაჩუქებდი, ბედნიერებას დავხატავდი შენს თვალებში, ყველგან ვიქნებოდი, სადაც არ მომელოდებოდი, შენს სიყვარულში ახალ სიცოცხლეს ჩავსახავდი, ორსულ სხეულს ცხრა თვე ტაატით ვატარებდი და მერე მთელი სამყარო ჩვენ ვიქნებოდითო...“

ზოგჯერ პოეტი ქალი პოეტ ქმარსაც ნატვობს; კაცს, რომელსაც ჯიბეში გროში არ უგდია, „უდარდელად“ აბოლებს თამბაქოს და წარბშეკრულ ცოლს ლექსებით ამშვიდებს:

„ღარიბიაო, მგოსნის ცოლი, ნეტავი ვინ სთქვა?!“

ათამამებს პოეტს სიყვარული, აგაზაფხულებს, უხვად ჩუქნის მზეს და ლექსებს, ისიც ბედნიერია, ყველას ათბობს და ეფერება...

„შენ მათამამებ, გებაშვები სწორედ ამისთვის, ვგაზაფხულობ და ველარ გმალავ გულში საერთოდ, იცი? ერთხელაც არ მიკითხავს ჩემი თავისთვის, ნეტავი როგორ ვარსებობდით უერთმანეთოდ?!“

არ უნდა მოდუნდე, არ უნდა დაკარგო დრო, მთელ სამყაროს უნდა ახარო შენი სიყვარული, მეცხრე ცას ეწვიო, მინდვრები შეშლილი ფერებით მოხატო, იმედი არ წაიშალო და ყველაფრისათვის მუხლებზე დაუდგე ზეციერს...

„ერთი ცხოვრება რას ეყოფა სიყვარულს ამდენს,



ნუ მოდუნდები, ხვალ ვინ იცის აღარც გათენდეს... მე მინდა ჩვენი არსებობა სიგიჟეს ჰგავდეს და შენი სუნთქვა, ჩემს სუნთქვასთან ღამეს ათევდეს“...

„მივდივარ“ - ისეთი ლექსია განშორების ტკივილის თანაზიარს რომ გაგხდის და საყვარელი ადამიანის დაკარგვას განანებს. გტოვებს ლექსის ლირიკული გამირი, გიტოვებს სინათლეს და თვითონ საღამოს ბინდად რჩება, გიტოვებს გულს და სუნთქვა უჭირს გულის გარეშე, არც ცრემლებს გაჩვენებს თვალთმაქცად მშვიდი, ცრემლი არა, ღიმილი უნდა რომ გისახსოვროს... წასვლამდე ცერებზე იწევა, რომ გულზე გაკოცოს, სადაც თავისი ადგილი ვერ ჰპოვა, გთხოვს მხოლოდ ერთ ჩახუტებს, ხელების ერთ შემოხვევას და გულწრფელად გლოცავს - ნამდვილი გრძნობებით დღეგრძელობას გისურვებს...

წარმავალი ხდება ყველაფერი, დიდი სიყვარულის გარდა...

„ჯანდაბას, ერთხელაც ამეწვას მუხლები, ვალი მაქვს ამქვეყნად, ღმერთის და გამჩენის, მიმყვება გრძნობები, ასე ხელ-უხლები, მივდივარ, სურვილი მიმყვება დარჩენის...“

„ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ“ - თითქოს საფლავის ხმიდან გესმის ეს ხმა... ან იქნებ ზეციური საქართველოდან, სადაც დიდი მადლი სუფევს, სადაც მირონის სურნელია, სადაც მხოლოდ გალობით დადიან და წმინდანთა თვალები გათბობს, სადაც ცოდვების ტვირთისგან უნდა დაისვენო და აღარ გინდა ცრემლებისგან დამძიმება...

„ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ... ანგელოზს გული არ ატკინო, ცოდვების ტვირთისგან ვისვენებ, არ გინდა, სხვებიც არ ატირო...“

ცისა და მიწისაა ეს პოეზია - ცოდვით დამძიმებული სულის ტარებასაც გიადვილებს და ღმერთთან საუბარსაც...

დავით ახლოური, საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალისა და ახალგორის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

დომენტი სოზაშვილი

ფიქრები ქართულ საორტზე

„ხასიათის წვართი“ დაინახა გრიგოლ რობაქიძემ 1962 წელს ციურისში თბილისის „დინამოელებისა“ და მადრიდის „რელის“ მატჩს რომ ესწრებოდა კალათბურთელი. უკვე მცოვანი ემიგრანტი მწერალი თავისი სამშობლოს კალათბურთის გუნდის გამარჯვებას მიესალმა, მაშინდელი საბჭოეთის პირველ გუნდად რომ გამოსულიყო (აქაც არ დაკარგა გზა „სანთელ-საკმეველმა“, ისევ „კვიცი გვარზე ხტის“, „ასი ათასსა აჯობებს“).

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა პირველი ტაიმი რომ 1:4 დათმეს ცდკ-სთან, მეორე ტაიმში ისე ეთამაშეს მეტოქეს, რომ წაგებული თამაში 5:4-ზე მოიგეს.

შეჯიბრი, სხვებთან ჭიდილი შენი ყოფნის გამართლებულობის ძიება-მტკიცებაცაა. თუ არ მოგიცვა შენმა ძალიანობამ - რა შეჯიბრია, ვერაფერი გიშველის. თუ არ იოსტატე, ან მაშინვე არა ხარ სადიდოდ შემართული, როცა იწყებ. ეუფლები. დაოსტატებული ხვდები წინააღმდეგობებს. თუ არა ხარ ძალგულოვანი, ტყუილია. ჭიდილს დაანებე. შეეშვი. იაპონელების მიწყვეტ-მონწყვეტაში შობილი, კანონებდებული ძიუდო იმათი ეროვნული დასაბამითაა და იმითაა იმათებურად აღლოღებული.

იმათგან მოდის ამ ჭიდაობის როგორობა. ისინი იმ ყველაფერს ძიუდოში როა, ადვილად უსადაგებენ თავს. რასაც მხოლოდ დიდი ძალისხმევით ახერხებენ და ვერ ახერხებენ სხვები ქართველები ყველაზე მიახლოებულები გამოდიან აქ.

თუ ბრძოლას შეიძლება, საკუთარ თავს მიუერთდები. იმ შესაძლებლობებს სრულად გამოავლენ-შეიტან ბრძოლაში, შენში როა. ერთიანობად ქცეული უძლევი ხდები და ამას თუ ცივი წყალი არ დაასხა მონინალმდეგის მიუწვდომმა ოსტატობამ, შენი დამარცხება შეუძლებელია. ერთხელ ასეთად ვნახეთ პოლონეთის ფრენბურთელთა ნაკრები, ვერაფერი რომ ვერ დააკლო საბჭოთა კავშირის უთუოდ უმაღლესმა ნაკრებმა. ესენი ყველანაირ ბურთს იღებდნენ. საოცარი თავგანწირვით იბრძოდნენ. შემდეგ მოუგერიებელ იეროზე გადადიოდნენ. ესენი თამაშობდნენ, ისინი იბრძოდნენ.

ასე იყო ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტების ნაკრები ისევ საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირმა ჯარი რომ შეიყვანა ჩეხოსლოვაკიაში. იმ წელიწადის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე ჰოკეიში. სსრკ მაინც მსოფლიო ჩემპიონი გახდა (სხვას ყველას უგებდა), მაგრამ ჩეხოსლოვაკიამ ევროპისა ნაპყლიჯა. რას იზამ, ბუნებრივად ძლიერად მოთამაშე საბჭოთა კავშირმა პირად შეხვედრებში ვერაფერი მოუხერხა ამ აზავთებულთ.

თამაში ბრძოლით ასევე თბილისის „დინამოს“ ბევრი პრინციპული თამაში მოუგია. მოსკოვის „ტორპედოსთან“ სსრკ-ს 1953 წ. ჩემპიონატზე გადაწყვეტში გაიმარჯვა და ხრუშჩოვმა გადაათამაშებინა-ნააგებინა ძალის-ძალით. არ დაუშვა თბილისის გაჩემპიონება. მერე ამისთვის თვითონ „ტორპედოელებმა“ ბოდიში მოიხადეს. ხანგამოხდილს „დინამომ“ მაინც მოიგო სსრკ-ს ჩემპიონატი ასეთი ბრძოლით ტაშკენტში „ტორპე-

დოსთან“. გამარჯვებისთვის შემართული ერთსულოვანი ოსტატების მობილური გუნდი-რაზმი რას არ შეძლებს!

ჭადრაკში მოჯიბრენი ნებისით-უნებლიეთ არკვევენ ვინ ვისში მოექცევა სათამაშო ცოდნა-აზროვნებით, ანუ ვინ ვის „ხედავს-უვლის“... ვინ გაივლის მონინალმდეგეს და ასე ხვდებიან. ეთამაშებიან. ერკინებიან სხვადასხვანინიგზე, კორტზე, ხალიჩაზე, ტატამზე, მოედნებზე, აუზში - იმის დასადგენად, თუ რომელია მეტი, ნალდი მონაცემების მჯობზე მჯობი.

მიხვდი რა ხარ... თუ იგრძენ საფალავნე, საჩემპიონო შენში, ჩაიბარე, მოუარე, ნაიყვანე, გაიყვანე მსოფლიო კრებულში, რომ შენცა ხარ მოპირველე, გამმარჯვებული - ეს ხომ შენი, ჩვენი ყოფნის სითამამე, სიამაყეა, რაშიც ყველას ემეტე. იქ შენგან ყველას მეპატრონეობაა. მაყურებელს თავისი გუნდები ჰყავს, მაგრამ იმათი „თავისობა“ მეტნილად მაგრობას ეფუძნება იმათსას. მაგრამ გულშემატიკვირობა პირველ რიგში საკუთარ უზნის, სკოლის, ქვეყნის მოთამაშეთ ეგების. შენ რომ ჰთავისობ იმას და ის როა ასპარეზზე შენი წარმომადგენელი, შენი წარმომდგენი, ეს უნდა იცოდე.

საქართველოში რომ უხვად აქვთ დაბერტყებული ნიჭი და ძალი ბუნებისგან, ეს კარგად ცნობილია ამისთვის დაყოფადებულიათთვის. ლამა ტალახადის სადღესობა პლანეტის ულონიერესობა სწორედ ბუმბერაზების მოწყვანი ჩვენი მიწის მადლიცაა და იმიტომ ვეხარებით ლამას ქართველნი, რომ ამან სპორტულ რეჟიმში უმკაცრესი ჩადგომით, იმის მონაცემებს რომ ეკადრება, გოლიათის შრომა-ვარჯიშით საქართველოს აჩუქა ყველა დროის ძლევათსილი ჩემპიონი (ოლიმპიური, მსოფლიოს, ევროპის... რომელი ერთი გინდა...)

მაყურებელი ემხრობა, ჰთავისობს თავის ჩემპიონებს. ხარობს ამათი მარჯვობით. ანუ ამარცხებ ავსტრიელებს, გერმანელებს, ესპანელებს, თვით ინგლისელებს, ფრანგებს, რუსებს, სხვებს ხან რაში, ხან როდის - შეგძლებია უ. ი. იმათზე მეტობა. აქ რომ არაფერს უთმობ, ეტოლები - ემეტები იმათ მონაგრებულ ცხოვრებაში. სიცოცხლე ცოცხლობაა - არა ნეტარების უფლება! გაბედულებების დემონსტრაციები რასა გვშველის არეულ-დარეული, ოკუპირებული, მაგრამ მაინც ის ქვეყანა გვაქვს, ნოდარ დუმბაძე რომ გვეუბნებოდა: „ნატურის თვალსა ჰგავსო - ცოტა ხელი და ცოტა ტვინი თუ გავანძრიეთ, რასაც ვინატრებთ, ყველაფერი შეგვისრულდებაო“. არაფერი არა გვაქვს საიმისო, რომ სხვებს ვეახლებოდეთ თავის საკეთებელში განათლებულობა (მეტ-ნაკლები), მდიდარი მიწა, ძველთაგან „მინის მუშობა“ (ამად რომ გვცნობენ), გვაძლევს იმის საშუალებას ნორმალურ, ღონიერ ქვეყნად ვიქცეთ...

გულშემატიკვირობთ ჩვენსას - ნიშნავს არ გვინდა, არ დაუშვებთ ჩვენს ნაკლებ დაბადებულობას სხვა ნებისმიერთან!

თანდათან ლაგდება და უქეთესად დალაგდება ჩვენთან ცხოვრება. მერე და მერე საქმე საქმეში ისწავლება. ახლა ერთმანეთის გაგებისკენ ნავიდეოთ, ვიაროთ. რად გვინდა სხვის მაყურებლობა. მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია გამარჯვება. დამოუკიდებლობა რომ მოიპოვე, უნდა შეგეძლოს კიდევ. ხომ მხოლოდ ასეთებს „ჩვენი თავი ჩვენად გვეყუდნის“. შეგვიძლია ნამდვილი გამარჯვება და მერე ეს გამარჯვებები რომ „ჩვენად გვეყუდნება“ - ესაა სიხარული.

დავით სოლომნიშვილი

თხავით ტარჯამა თბილისელი

ცხოვრება წინ მიდის... აჩქარებით... დაუნდობლად... იცვლებიან ადამიანები, მოვლენები, იცვლება ბუნება, საგანთა სამყარო. უცვლელი მხოლოდ განცდაა, რომელსაც ხსოვნა ჰქვია. ხსოვნა - მარადიული, განუმეორებელი...

რა ინახავს ხსოვნას? - კარადა, ტუმბოს უჯრა, ჩანთა... არა და არა! ხსოვნა ადამიანებისაგან მოდის. ხსოვნას ტვინის ის უჯრედი ინახავს, რომელსაც მეხსიერება ჰქვია. რამხელაა ეს მეხსიერება - არავინ იცის. ვიცით მხოლოდ ის, თუ ვის და რის ხსოვნას ვინახავთ.

ათასი ფერებით აელვარებულ თბილისში, თბილისურ ამბებს რა გამოლევს. რას არ გაიგონებთ - ჭორს, ნამდვილს, უსახურს, ძვირფასს, სანუკვაროცნებასაც რომ უნოდებენ ხოლმე... ვის არ შეხვდებით. გინახავთ, თბილისში როგორ თენდება?! მთანმინდის კალთაზე როგორ ინვერება ცხრათვალა მზე?! ეს ის მზე ხომ არ არის გოგა ფიფიას მდიდარ სულიერ სამყაროს რომ ათობდა სხვათა გასამხნეველად...

ჰოდა, ეს სანუკვარი ოცნება, 1950-იანი წლების თბილისის ერთი პატარა ბიჭი - გოგა ფიფია იყო.

გოგა ფიფია ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მსგავსად, გრუხუნისა და ჭექა-ქუხილის ფონზე დაიბადა. როგორც ალინა-იმნა, ფიფიების დინასტიას მესამე თაობის ქირურგი შეემატა, რომელმაც ბაბუისა და მამის დანყებული საქმე ღირსეულად განაგრძო.

ერთი სიტყვით, ბატონ ეგნატესა და ბატონ ვახტანგს, ღირსეული შვილი, ღირსეული შვილიშვილი შეეძინათ.

ნალდი კაცისათვის თბილისელობა - ადვილი საქმე როდია. ვერალობა - დიდი პასუხისმგებლობაა, კაცურ-კაცობაა, რომელსაც ვერაფერში ვერ გაცვლი, ვერც იყიდი. ავტორიტეტია - ერთადერთი და ხელშეუხებელი. სწორედ რომ, გოგა ფიფია - ასეთი იყო. მას, ყველგან პატივისცემით მოიხსენიებენ: ოჯახში, საზოგადოებაში, ექიმთა თავშეყრისას. მაინც რამ წარმოშვა ასეთი დამოკიდებულება მისდამი?! პირველ რიგში - გენეტიკამ. ფიფიების გვარის წარმომავლობაზე საუბრისას, თვალწინ, უმაღ ბატონები ეგნატე და ვახტანგ ფიფიები წარმოგვიდგება, რომელთაც ქართული სამედიცინო კულტურის არა მარტო ჩამოყალიბებაში, არამედ ახლებურად გააზრებაშიც ფასდაუდებელი ღვაწლი აქვთ.

გოგა ფიფია მოკრძალებულიც იყო და მღელვარეც, თავმდაბალი და შემეტყვიც, კეთილშობილი და ჰუმანურიც. შვების გასაქარვებლად, ამდენი დატანჯული პაციენტის კეთილი ღიმილი რომ შემოგყურებს - განა ჰუმანურობა არ არის?!


გამართლდა ეგნატე ბაბუას შეძახილი: „ჩემი შვილიშვილი ექიმი უნდა გამოვიდეს და მორჩა!“ გადაწყვეტილება მყარი და პრინციპული იყო.

გოგას მიერ ჩატარებული ოპერაციების და პაციენტთა მკურნალობის შედეგების შესახებ დღესაც ამბავი მითად „დაბრძანდება“ არა მარტო სამედიცინო წრეში, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც. ამბობენ, ადამიანი სადაც აღიზრდება, ჩამოყალიბდება - ბოლომდე ისეთად რჩებაო.

გაივლის წლები და უცაბედად, გოგა ფიფია ხელოვნებაში აღმოჩნდება. რატომ?! ეს - მისი გარეგნობის, მისი გასა-

ოცარი მეტყველი თვლების, პლასტიკის ტემპო-რიტმის ბრაღია.

გოგა ფიფიამ დროის მოთხოვნის შესაფერისი, ცხოვრებისათვის საჭირო, აუცილებელი ქირურგიული მეთოდები დანერგა, გააადვილა სიყვითლით დაავადებულთა მკურნალობა და ამით, გაახანგრძლივა ადამიანთა სიცოცხლე. მან, პირველმა შეისწავლა სიყვითლის დაავადების მკურნალობის გამარტივების გზები, რასაც არაერთი ნაშრომი მიუძღვნა.



1970-იანი წლების ქართულ კინოში ფილმები „როცა აყვავდა ნუში“, „მზიური“ - იბადება, რომლებმაც ქართულ კინემატოგრაფიაში, დიდი სიყვარული და პოპულარობა მოიპოვა და არაერთი გამომხატურება მოჰყვა.

სრულიად მოულოდნელად, ცნობილი ქართველი რეჟისორების - ლანა ლოლობერიძის და ზაალ კაკაბაძის მიწვევით, მათ ფილმებში მთავარი როლები შეასრულა. ესეც არ იყოს, ქართული ცეკვის ტერფ-ფსიქორამ, ნინო რამიშვილმა ანსამბლში მიიწვია. გავისხენოთ გოგას საოცარად შესრულებული კინტაური კინოფილმიდან „როცა აყვავდა ნუში“.

ნიგნი - „გოგა ფიფია -65“, რომელიც სულ ახლახანს, 2018 წლის 3 ივნისს, გოგას დაბადების დღისათვის გამოიცა, მისი ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებს ასახავს. დიდი რუდუნებით შექმნილ საოცარ ნიგნს გადაშლი და თითქოს, შორიდან გვესმის გოგას „დაპკარით დაფდაფებს, ჯერ ასე ძლიერად არავის უმღერია...“

ნიგნის შემდგენელი, ხელოვნებათმცოდნე ქეთევან ახობაძე შესავალ წერილში ფიფიებისა და ხაზარაძეების განუმეორებელი საოჯახო დინასტიისა და ტრადიციის შესახებ საუბრობს. ნიგნში მოხმობილ ავტორთა წერილები აღსავსეა უდიდესი „სითბური ენერგიით“, რომელსაც გოგა ფიფიას სულიერი სამყარო გამოსცემდა ადამიანებისადმი. გოგას, რომელსაც არავინ ავიწყდებოდა - დანყებული ობოლ-ქვრივიდან, დამთავრებული მაღალ ჩინოსნამდე. ეს კი ქალბატონი ნანა ხაზარაძისა და ბატონი ვახტანგ ფიფიას ჰარმონიული ოჯახის შედეგია.

ათვალიერებ უნიკალურ ფოტოებს საოჯახო ალბომიდან, სადაც ნათლად მოჩანს ფიფიების და ხაზარაძეების ღირსეული ოჯახების მახასიათებელი ფასეულობანი და თითქოს შეუმჩნევლად, გოგას ხმა ჩაგვცახის: „არ დაიდარდოთ, მე თქვენთან ვარ სამარადუაშაოდ“.

ეს თბილისური ნიგნი-ალბომი ყველა ქართველს უმთავრესს შეახსენებს: „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!“.

2018, 3 ივლისი

ყველას რაიმი აქვს სახსოვარი

საქართველოს ძირძველ მინაზე რუსების მიერ გამოჩორკნილი აფსუათა სახელმწიფო ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკა რუსეთის გარდა ჯერჯერობით მხოლოდ ორმა ნახევრად ცივილიზებულმა სახელმწიფომ ცნო. ერთი მათგანია ნაურუ.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ნაურუს მაღალი რანგის დელეგაციის სტუმრობას აფხაზეთში. სტუმრებს გვერდს უმშვენებს აფხაზეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი ქალბატონი.

რას იზამ, ჩემო დაია, სანამ თვალი შეეჩვეოდეს, სტუმართა ასეთი ეროვნული მოკაზმულობაც უნდა აიტანო.



მარი დიერა (მარინა დიერაშვილი)

ტყემლის ყვავილობა

ტყემლის ტოტებზე დაიბერა, პანანინა კვირტებმა, მერე გასკდა, გაიშალა, როგორც თეთრი ფიფქები. ჩიტი უსტვენს კენწეროზე, არემარეს აფხიზლებს, დაგვჭიკჭიკებს, გაზაფხულდა, გვიგალობს და გვალვიძებს. და გაშლილი ყვავილები თითქოს პეპლის ფრთებია, გაზაფხულდა, გილოცავთო, თითქოს გვეუბნებიან! ყვავილები შემომსხდარან, თითქოს ფრთები პეპლების, მოხატულო, გაზაფხულო, შენ კი შემოგველები.

გიგა დოლიძე

ეძღვნება დედა მარიამს, ილუმენიას, ერკეთის დედათა მონასტრის წინამძღოლს.

დედა მარიამ, ქალთაგან ღმერთმა გამოგარჩია, სინმინდის ბურჯო, თქვენს ლოცვას, რწმენას ვერას დააკლებს, მე მჯერა ურდოც. თქვენ მზის სხივი ხართ ჩაუქრობი, მომცემი სითბოს, დედავ მლოცველო, რწმენის იმედო, დუნია გიცნობს. ერკეთის თავზე ლამაზ მონასტერს, ბუდედ რომ მოსჩანს, დედები შეჰკარ, თქვენი გალობა მოისმის ციდან. ქალთა მონასტრის ლოცვა-კურთხევა ჩვენც გვესმის მთიდან, თქვენ გზას უნათებთ, გზაზე აყენებთ აცდენილს გზიდან. ბედნიერია ყველა, მრევლი, ვინც თქვენ დალოცეთ, ვხედავ და მესმის, რა სიკეთე მოაქვს ამ თქვენსა ლოცვებს. თქვენ ცხოვრებაში გადაიტანეთ ალბათ სიმწარე, სხვა გყავდეს კარგად, ამ გრძნობისთვის რამდენი რამ გადაიტანე. შეუვალია ცხოვრების გრძნობა, რაც აირჩიე, აქ უფლის ძალა ჩადობილა, თქვენ აგირჩიეს. დედა მარიამ, სინმინდის ბურჯო, გფარავდეთ ღმერთი, დიდად გვიყვარხართ, ჩვენი დედობის თქვენა ხართ ფესვი. დედათა დაო-წინამძღოლო, მედგრად იდექი, ჩვენსა დიდ ცოდვებს, თქვენი ლოცვით გვერდზე გვედექი. ჩვენაც დაგლოცავთ, იღლეგრძელეთ უფლის ნებითა, ჩვენც რომ ვხედავდეთ ჯანმრთელად ხართ, ვიყვით შვებითა. ბევრი გაქვს საქმე, ლოცვა-კურთხევას არა აქვს ბოლო, ვართ ბედნიერი, თქვენი ლოცვა მოგვესმის მხოლოდ. ლამაზ მონასტერს, გურიას მაღლით რომ გადმოჰყურებს, მჯერა და მესმის, ღმერთი იცავს, ლოცვებს აბკურებს.

მადონა ჯავახიშვილი

პატარა ემიგრანტის ნატვრა

უცხო ქვეყნის მინაზე მე ვარ ნერგი დარგული, სხვა მზე მემზიანება, არც წვიმა მრწყავს ქართული. გულში ოქროს სიტყვები ღრმად მაქვს ამოქარგული, მე დავითის მოდგმა ვარ და ფესვი მაქვს ქართული. დედამ მითხრა, თურმე იქ, სულ სხვაგვარად მღერიან, გაფრენილი მერცხლების დაბრუნებას ელიან. სალამური იკენესებს, ატირდება ფანდური, თუკი დაგვაგინყდება მშობლიური ქართული. დედა ენას ვისწავლი წინაპრების საფიცარს, ჩემი ქვეყნის ღირსებას სხვის მინაზე დავიცავ! არ შევარცხვენ სამშობლოს, გეფიცებით, გპირდებით. თუმცა უცხო მინაზე გამოვისხი კვირტები, ფესვი ჩემი იქ არის, ვაზის ცრემლით ირწყვება, მამა-პაპის საფლავი როგორ დამავინყდება? სულით, ხორციით, გონებით სულ ვიქნები ქართველი, ხშირად დამესიზმრება მშობლიური მთა-ველი. თუ ოდესმე სამშობლოს ცამაც გამოიდარა, ღმერთო, შინ დაგვაბრუნე, მეტი არც რა მინდა რა.

მადონა ჯავახიშვილი

მართალი უთქვამთ

მართალი უთქვამთ, ერთი დრო არავის არ შერჩებაო. ჩვენ წავალთ და ჩვენ სანაცვლოდ შემდეგ თაობა რჩებაო; იმასაც შემდეგი შესცვლის, არავინ არ დარჩებაო, წუთისოფლისა ბორბალი სულ ასე მეორდებაო; ჩაივლის დროთა მანძილი, უკან არ დაბრუნდებაო. რამდენიც გინდა უსწორო, თვალი არ გადასწვდებაო... ასე ყოფილა საწუთრო, მიდის და არ თავდებაო...

ივეტა პავლიაშვილი

წვიმა ყოველთვის მოვა

იქ, შორს განათდა ცაზე, მოჰქუხს ღრუბლების გროვა, ბავშვობის ხანა თორემ - წვიმა ყოველთვის მოვა.

წუწუნა წვიმა მშვიდად ვარცხნის ოცნებას, ფიქრებს, მე მის წკრიალში ვითვლი ჩემი ლექსების რითმებს.

ნალვლიან ფიქრებს ვატან, წვიმის წვეთების წკაპუნს და სველ ქვიშაზე ვხატავ ხსოვნად დარჩენილ წარსულს.

უნინ ზამთარიც მათობდა, მხიბლავდა ფიფქის ცვენა, მიყვარდა ლურჯი აპრილი, შვიდფერი ცისარტყელა.

ახლა სხვა გრძნობას ბადებს, ჩემში აპრილი, წვიმა ნეტარებას რომ მგვრიდა, ის ცა დღეს ცრემლებს ღვრიდა.

... შორს დარჩენილან წლები; მწვანე კორდების მიღმა.

თამარ ტყაბლაძე

არაულობა...

უცებ ვიგრძენი სიმძიმე ჩემში, დარდებს გაუდგამს ფესვები ჩემში. სევდაც ბევრია, ტკივილთან ერთად, არც მიდიან და არც ქრებიან... მინდა გათენდეს ლამაზი დილა, და ყველაფერი წარსულს ჩაბარდეს. ო, რა ძნელია სევდით ცხოვრება, დღეები დიან და ქრებიან და მე დავდივარ ფიქრებით ისევ...